# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.



ხუთშაბათი, 29 მარტი, 2012 წელი.

№60 (6937)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.


## ქართველი მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი:



## მე ვარ უკანასკნელი თავისუფალი ადამიანი ამ ქვეყანაში

3

## წინ, საქართველო!

### საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ინგლისელი თანატოლები ანგარიშით 1:0 დაამარცხა



## ივანიშვილის ლობისტურ ქალისხმევას ვაშინგტონში შედეგები მოაქვს

2

## ზუგდიდში პოლიტიკური აქტივისტები დააკავეს

3

## გია ნოდია - მედროვე ფილოსოფოსი

6



## დაგვიბრუნეთ კო-რუ-ფცია!



7

## საქართველოს „ბედნიერებაში" შეტანილი ამერიკა-ისრაელის წვლილი

5



## საქართველოსა და სომხეთში ბენზინის ფასებს შორის სხვაობას სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს

8

**◉ სიკვდილი ციხეში**

## სახალხო დამცველი:

# ზოგიერთ შემთხვევაში პატიმრები სამკურნალო დაწესებულებაში სიკვდილამდე რამდენიმე წუთით ადრე გადაჰყავთ



**საქართველოს სახალხო დამცველი გამოთქვამს ეჭვს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში #18 დაწესებულებაში (პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება) პაციენტი ცოცხალ მდგომარეობაში ვერ აღწევს და რატომღაც მაინც აფიქსირებენ, რომ ის სტაციონარში შეყვანის შემდეგ გარდაიცვალა.** სახალხო დამცველის ინფორმაციით, მსგავსი შემთხვევა ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოშიც დაფიქსირდა, კერძოდ ექსპერტიზის დასკვნაში მითითებულია, რომ პაციენტი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. 40 წლის პაციენტის გარდაცვალების მიზეზი, ექსპერტიზის დასკვნის მიხედვითაც კი, საკმაოდ ბუნდოვანია. ასევე გაურკვეველია, რატომ დაავალა გამომძიებელმა დადგენილებით სასამართლო სამედიცინო ექსპერტს გარდაცვლილის „ფრჩხილის ნიმუშის“ აღება.

ასევე, სახალხო დამცველი 2011 წლის მდგომარეობის ამსახველ ანგარიშში ავთვისებიანი სიმსივნეებით განპირობებული სიკვდილიანობის მკვეთრ მატებაზე საუბრობს.

* * *

**სახალხო დამცველის, გიორგი ტუღუშის ახალი ანგარიშის მიხედვით, რომელიც 2011 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობას ასახავს, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმართა სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებელი შენარჩუნებულია.**

როგორც „ინტერპრესნიუსს“ გიორგი ტუღუშმა განუცხადა, 2011 წლის პატიმართა სიკვდილიანობის მონაცემები, ფაქტობრივად, 2010 წლის იდენტურია. 2011 წელს სასჯელაღსრულების სისტემაში 140 პატიმარია გარდაცვლილი, 2010 წელს კი – 142 იყო.

„პატიმართა რაოდენობა იგივეა – 24 300, რაც 2010 წელს იყო. თუმცა, სიკვდილიანობის მაჩვენებელიც შენარჩუნებულია. 140 ძალიან მაღალი მაჩვენებელია და მიუთითებს ზუსტად იმაზე, რომ ჯანდაცვის სერვისების მიწოდება პენიტენციურ სისტემაში ვერ პასუხობს სტანდარტებს. რამდენიმე პატიმრის გარდაცვალების დასკვნა,



რომლებიც ჩვენს მიერ იყო შესწავლილი, მიუთითებს, რომ ეს ადამიანები არ უნდა დარჩენილიყვნენ სასჯელაღსრულების სისტემაში, მათი მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო, რომ იქ მკურნალობა და ზრუნვა ფაქტობრივად შეუძლებელი იყო. ანუ, პირები, რომლებიც ექვემდებარებოდნენ სასჯელის გადავადებას, სიცოცხლის ბოლომდე იყვნენ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში. ეს თამამად შეიძლება გაუტოლდეს არაადამიანურ მოპყრობას ამ ადამიანების მიმართ“, – განაცხადა გიორგი ტუღუშმა.

**ინტერპრესნიუსი**

**◉ „ქართული ოცნების“ განცხადება**

# რეზო საყევარიშვილის „ფორბს ჯორჯიას“ მთავარი რედაქტორის თანამდებობიდან გადადგომასთან დაკავშირებით

**როგორც ცნობილია, „ფორბს ჯორჯიას“ მთავარმა რედაქტორმა რეზო საყევარიშვილმა დატოვა აღნიშნული თანამდებობა ჟურნალის სარედაქციო დამოუკიდებლობაში უხეშად ჩარევის, ცენზურისა და დამოუკიდებელი მედიის მუშაობის პრინციპების დარღვევის გამო. როგორც თავად ჟურნალისტი აცხადებს, სარედაქციო დამოუკიდებლობაში ჩარევა ყველაზე მკაცრად შეეხო ბიძინა ივანიშვილთან ინტერვიუს, რომელიც მან ჟურნალისთვის მოამზადა. ჟურნალისტი იმ ფუნდამენტური პრინციპების დარღვევაზე საუბრობს, რომელსაც მსოფლიოში აღიარებული ბრენდი ერთი საუკუნეა ამკვიდრებს. ამ ტიპის სკანდალი „ფორბსს“ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ ჰქონია.**

„ფორბს ჯორჯიას“ გამომცემლობამ გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს კონფლიქტს სხვა მიზეზი აქვს და რომ საყევარიშვილი თავად გამომცემლობამ გაათავისუფლა ზემოაღნიშნულ ინტერვიუში დასმული კითხვების (!) პლაგიატის გამო, რასაც არაფერი აქვს საერთო სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევასთან. გამომცემლობის ეს განცხადება არის სრულიად არაკომპეტენტური და საზოგადოებისთვის თვალის ახვევის მცდელობას წარმოადგენს. ხელისუფლებისა და მასთან დაახლოებული გამომცემლის მოქმედების ნამდვილი მიზეზი ცნობილია - კიდევ ერთხელ დაიბლოკოს ბიძინა ივანიშვილის ნებისმიერი აქტიურობა.

ხელისუფლების მხრიდან ცენზურა და თავისუფალ მედიაში ჩარევა ჩვენს ქვეყანაში ჩვეულებრივ ამბად იქცა, თუმცა ამჯერად მისი ხელი მსოფლიოს ბრენდის ქვეშ მყოფ ერთ-ერთ პრესტიჟულ გამოცემასაც გადასწვდა.

პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნება“ მხარდაჭერას უცხადებს რევაზ საყევარიშვილს და ყველა ჟურნალისტს, ვისთვისაც ძვირფასია დამოუკიდებელი და თავისუფალი მედია და აცხადებს, რომ თავს შეიკავებს აღნიშნულ გამოცემასთან ურთიერთობისაგან მანამ, სანამ საზოგადოებას ეჭვი ექნება ამ ჟურნალის სარედაქციო დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით.

**◉ უცხოური პრესიდან**

# ივანიშვილის ლობისტურ ძალისხმევას ვაშინგტონში შედეგები მოაქვს

**საქართველოს ოპოზიციური პოლიტიკოსი ბიძინა ივანიშვილი ვაშინგტონელ ლობისტებს ყოველთვიურად ათობით ათას დოლარს უხდის და შთაბეჭდილება ისეთია, რომ ეს ყველაფერი უკვე იძლევა შედეგს.**

**ორშაბათს ჯიმ მაკდერმოტმა, ვაშინგტონის შტატის კონგრესმენმა დემოკრატიული პარტიიდან, წარმოადგინა „საქართველოს რესპუბლიკის დემოკრატიის აქტი 2012 წლისათვის“. ეს დოკუმენტი მოითხოვს საქართველოსთვის ყველა სახის დახმარების (სამხედრო და ნებისმიერი სხვა) შეწყვეტას, თუ სახელმწიფო მდივანი არ დაადასტურებს, რომ წელს, ოქტომბრისთვის დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა თავისუფლად, სამართლიანად და კონკურენტულ გარემოში.**

ეს შესაბამისობაში მოდის აშშ-ის ოფიციალური პირების ბოლოდროინდელ რიტორიკულ ზეწოლასთან, რომელიც მიმართული იყო საქართველოს მთავრობისაკენ და აღწერდა იმას, თუ რამდენად დიდია აშშ-ის მთავრობის ყურადღება არჩევნებისადმი. სანქცია ზედმეტად მკაცრად გამოიყურება, მაგრამ: როდის ჩაატარა ბოლოს ბაჰრეინმა, კიდევ ერთმა ქვეყანამ ცნობილმა იმით, რომ აშშ-ის სამხედრო დახმარებას იღებს, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები?

მაგრამ ყველაზე გამაოგნებელი კანონპროექტში ივანიშვილზე ხაზგასმაა. ცხრაგვერდიან კანონპროექტში მილიარდერი ივანიშვილი ცამეტჯერაა ნახსენები ისე, რომ სხვა არც ერთი პოლიტიკოსი მოხსენიებული არ არის (მიხეილ სააკაშვილის გარდა, რომელთან დაკავშირებით ნათქვამია: „მისი სულ უფრო დიქტატორული კონტროლი საქართველოს მთავრობაზე“ და რამდენჯერმე – „სააკაშვილის რეჟიმი“). **კანონპროექტში დეტალურადაა აღწერილი ივანიშვილისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევის ფაქტი, მისი ფინანსური დევნა და ივანიშვილის მხარდამჭერის საეჭვო გარდაცვალება ციხეში.**

უნდა ითქვას ისიც, რომ ივანიშვილი საქართველოს მთავრობის ბევრად უფრო ძლიერ ვაშინგტონურ ლობისტურ აქტივობას უპირისპირდება. სულ რაღაც ორი თვის წინათ კონგრესმა თავის რეზოლუციაში შეაქო საქართველოს მთავრობა და განაცხადა, რომ **„მან აჩვენა თავისი სრული ერთგულება დემოკრატიული და ეკონომიკური რეფორმებისადმი“.** და კიდევ სულ ახლახანს იყო წარდგენილი ორი კანონპროექტი, რომელიც ნატოში საქართველოს გაწევრების ლობირებას ისახავს მიზნად, რაც სააკაშვილის უმთავრესი პრიორიტეტია. საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებამდე ერთი წელია დარჩენილი და, როგორც ჩანს, საარჩევნო კამპანიის მარშრუტი კაპიტოლიუმის ბორცვზეც გაივლის.

**EUROASIANET**

**◉ დეზინფორმაცია**

# თინა ხიდაშელმა საქართველოს შესახებ ამერიკელი კონგრესმენის ინიციატივაზე განმარტებები გააკეთა

**„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი, „რესპუბლიკელი“ თინა ხიდაშელი, 26 მარტს, ამერიკის კონგრესში შესულ კანონპროექტს „2012 წლის საქართველოს დემოკრატიის აქტი“ გამოეხმაურა და ტელეკომპანია „რუსთავი 2“ ამ ინიციატივასთან დაკავშირებით დეზინფორმაციის გავრცელებაში დაადანაშაულა .**



როგორც ხიდაშელმა „ქართული ოცნების“ ოფისში გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, კიდევ ერთი ინიციატივა, რომელიც ვაშინგტონში კონგრესს აშშ-ის კონგრესის ერთ-ერთმა წევრმა, ჯიმ მაკდერმოტმა გააცნო, მიზნად ისახავს საქართველოში დემოკრატიული პროცესის მხარდაჭერას. კერძოდ, 2012 წელს დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნების თავისუფალ, სამართლიან და კონკურეტუნარიან გარემოში ჩატარების უზრუნველყოფას.

„ძალიან სამწუხაროა, რომ აბსოლუტურად ცილისმწამებლური და ტყუილზე დაფუძნებული ინფორმაცია გაავრცელა გუშინ ერთ-ერთმა ქართულმა ტელეარხმა, სახელისუფლებლო ტელევიზია „რუსთავი 2-მა“; ეს იყო სრულიად სამარცხვინო განცხადება ამ შემთხვევაში ამერიკელი კონგრესმენის მიმართ, – აღნიშნა ხიდაშელმა და განმარტა, რომ „რუსთავი 2“ დამაჯერებლად საუბრობდა, თითქოს ამ აქტით მოთხოვნილია საქართველოსთვის დახმარების შეჩერება, რაც ტყუილია.

მისივე განცხადებით, აქტში სიტყვასიტყვით წერია, რომ 2013 წლის ფისკალური წლისთვის არავითარი დაფინანსება არ უნდა გამოეყოს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტს ან სააგენტოს საქართველოსთვის დახმარების აღმოჩენის მიზნით მანამდე, სანამ სახელმწიფო მდივანი არ დაადასტურებს და არ მოახსენებს სენატისა და წარმომადგენელთა პალატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტს, რომ 2012 წლის ოქტომბრის, ან სხვა თარიღის საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა თავისუფალ, სამართლიან და კონკურენტულ გარემოში, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ხიდაშელის მტკიცებით, ამერიკელი კონგრესმენი ამბობს, რომ მისი მოთხოვნა და აუცილებლობა არის დემოკრატიული არჩევნები, რომელიც იქნება ერთადერთი პირობა საქართველოს ფინანსური დახმარების.

**ინტერპრესნიუსი**

**◉ არჩევნები და ამომრჩეველი**

# კარდაკარ აღწერის შედეგები ყაზბეგის რაიონში

**არჩევნების მოახლოებასთან ერთად მწვავდება საარჩევნო სიების მოწესრიგების, დახვეწის საკითხი. „სალომე ზურაბიშვილი – საქართველოს გზის“ თავმჯდომარე კახა სეთურიძემ გუშინ პრესკონფერენცია გამართა პარტიის მიერ ყაზბეგის რაიონში კარდაკარის პრინციპით ამომრჩეველთა აღწერის შედეგებზე.**

– 2010 წლის ადგილობრივ არჩევნებში ყაზბეგის რაიონში ოფიციალურად 6020 ამომრჩეველი იყო აღრიცხული. ჩვენ კი 4100 ამომრჩეველი აღვრიცხეთ. დანარჩენი 1900 გასულია ქვეყნის გარეთ, ნაწილს კი არავითარი კავშირი არა აქვს ყაზბეგის რეგიონთან. მოგეხსენებათ, ყაზბეგში საზღვრის გადაკვეთისას შეღავათით სარგებლობდნენ, ვიზა არ სჭირდებოდათ, ამიტომ ქვეყნის მთელი ტერიტორიიდან სტეფანწმინდაში მოდიოდნენ და ეწერებოდნენ, რათა ესარგებლათ ამ შეღავათით. ეს ადამიანები ხელისუფლებისთვის მანიპულირების საშუალებაა, ამდენად არ ცდილობენ მათი სიიდან ამოღებას – განაცხადა კახა სეთურიძემ.

იგი გამოსავალს ბიომეტრიული პარამეტრებით წინასაარჩევნო რეგისტრაციაში ხედავს, რაც გულისხმობს იდენტიფიცირებას თითის ანაბეჭდით ან სურათით. ამწესით უკვე სარგებლობს მრავალი დემოკრატიული ქვეყანა. იგი გამორიცხავს გაყალბებას და საარჩევნო სიების ჩამოყალიბების ყველაზე მოკლე და ეფექტური გზაა.

– ე. წ. „6-იანი“ ფორმატით მიმდინარე კარდაკარის აღწერის პრინციპი, რაც ერთი ამომრჩეველი – ერთ ხმას გულისხმობს, ამ მცირერიცხოვანი რაიონის მაგალითზე, გვიჩვენა, თუ რა ხდება საქართველოს სხვა კუთხეებსა და დედაქალაქში – დასძინა კახა სეთურიძემ და მზადყოფნა გამოთქვა, რომ დაინტერესების შემთხვევაში ითანამშრომლოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან.

**გულნაზ გახარია**

№60. ხუთშაბათი, 29 მარტი, 2012 წელი.

## მიმართვა დასავლეთს

# ქართველი მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი:

# მე ვარ უკანასკნელი თავისუფალი ადამიანი ამ ქვეყანაში

**ქართველი მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი ოპოზიციური მოძრაობის შექმნით გამოწვევას უგზავნის პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს. ახლახან ბევრი მისი მხარდამჭერი დაკითხეს, რაც Amnesty International-მა დაშინების მცდელობად შეაფასა. SPIEGEL ONLINE-თან ინტერვიუში, ივანიშვილი დასავლეთს სთხოვს, უარი თქვას სააკაშვილის მხარდაჭერაზე, რომელსაც, მისი მტკიცებით, საქართველო დიქტატურისკენ მიჰყავს.**

**გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის საქართველოში ვიზიტის მეორე დღეს (გიდო ვესტერველემ ამ ქვეყანას პრესის თავისუფლებისა და „ოპოზიციის უფლებების დაცვისკენ მოუწოდა"), პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თავისი პოლიტიკური კონკურენტების წინააღმდეგ მასშტაბური კამპანია წამოიწყო. ამ თვის დასაწყისში ოპოზიციური ლიდერის და ოლიგარქის ბიძინა ივანიშვილის 100-ზე მეტი მხარდამჭერი დაკითხვაზე გამოიძახეს. დაკითხვები, რომელიც საათების განმავლობაში გრძელდებოდა, უფლებადამცველი ორგანიზაცია Amnesty International-სთვის იმის მიზეზი გახდა, რომ სააკაშვილი წინასწარ განზრახული დაშინების კამპანიის წარმოებაში დაედანაშაულებინა.**

**ივანიშვილი, რომელმაც 2003 წელს სააკაშვილის „ვარდების რევოლუცია" დააფინანსა, იმედოვნებს, რომ შემოდგომაზე დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებში პრეზიდენტის პარტიას დაამარცხებს. გამოკითხვებმა აჩვენა, რომ მის მოძრაობას „ქართულ ოცნებას", რომელიც 2011 წლის დეკემბერში შეიქმნა, გამოკითხულთა 28% უჭერს მხარს. სააკაშვილის მთავრობამ უკვე გაამკაცრა კანონები პარტიების დაფინანსებაზე და ივანიშვილს, რომლის პირადი კაპიტალიც ჟურნალმა Forbes-მა 5 მილიარდ დოლარად (3.8 მილიარდი ევრო) შეაფასა, მოქალაქეობა ჩამოართვა. 56 წლის ბიზნესმენი საქართველოს დედაქალაქის, თბილისის ფერდობზე წამოჭიმულ მინისა და ლითონის ფუტურისტულ შენობაში ცხოვრობს.**

**SPIEGEL ONLINE-თან ინტერვიუში, ივანიშვილი საკუთარ პოლიტიკურ ხედვაზე საუბრობს და სააკაშვილის მმართველობის პირობებში საქართველოსთვის ბნელ სურათს ხატავს.**



**— თქვენ დღემდე არ იძლეოდით ინტერვიუებს. ამბობთ, რომ ჟურნალისტები არ გიყვართ და ვერ იტანთ ყურადღების ცენტრში ყოფნას. საიდან გაგიჩნდათ უცებ პოლიტიკური ამბიციები?**

— ჩემი ფილოსოფია ასეთია: მირჩევნია, საზოგადოების ყურადღების მიღმა ვიყო. თავისუფლება მიყვარს. მაგრამ ბოლო წლების განმავლობაში სულ უფრო და უფრო სერიოზული ზეწოლის ქვეშ ვექცეოდი. არჩევანი უნდა გამეკეთებინა: ან უნდა დამეტოვებინა ქვეყანა, სადაც ჩემი ყოფნა სულ უფრო სახიფათო ხდებოდა, ან შეტევაზე გადავსულიყავი.

**— თუკი საზოგადოების ყურადღების ცენტრში ყოფნა არ გიყვართ, რატომ არ დაუჭირეთ მხარი უკვე არსებულ ოპოზიციურ პარტიას?**

— სააკაშვილმა პარტიები ერთი მეორის მიყოლებით იყიდა. ეს ფსევდოოპოზიციური პარტიებია. მაგრამ რამდენიმე წესიერმა ოპოზიციონერმა პოლიტიკოსმაც დაკარგა მოქალაქეების ნდობა. მე ვარ უკანასკნელი თავისუფალი ადამიანი ამ ქვეყანაში. მაქვს ფული, მაგრამ ჩემი ყველაზე მნიშვნელოვანი კაპიტალი ხალხის ნდობაა.

**— ეს მაღალი სიტყვებია. რას გეგმავთ გამარჯვების შემთხვევაში?**

— ევროპა ჩვენთვის მისაბაძი მაგალითი, მიზანი და ბედისწერაა. გვინდა მისი ნაწილი გავხდეთ. ჩვენ სწრაფად მოვარგებთ ჩვენს ინსტიტუტებს ევროპულ მოდელს, გავათავისუფლებთ სასამართლოს და შევქმნით თავისუფალ მედიას. წელიწადნახევარ ან ორ წელიწადში მე წავალ პოლიტიკიდან.

**— და ყველაფერს ხელახლა მიატოვებთ?**

— არა. მე ვიმუშავებ სამოქალაქო საზოგადოებასთან. რა თქმა უნდა, ისეთი პასიური აღარ ვიქნები, როგორც ადრე. მე დავეხმარები საზოგადოებას იმ მთავრობის შეკავებაში, რომელსაც დავტოვებ.

**— რატომ შეიძინეთ სარეკლამო გვერდები ისეთ ამერიკულ გამოცემებში, როგორიც მაგალითად Washington Post, სადაც თქვენ მოუწოდეთ დასავლეთს, შეწყვიტოს სააკაშვილის მხარდაჭერა?**

— ამერიკამ საქართველო უმცროსი პარტნიორის რანგშია აირჩია. შეერთებული შტატები ფიქრობს, რომ სააკაშვილი დემოკრატიულ საქართველოს აშენებს, მაგრამ ეს მხოლოდ ფასადია. მე მინდა, ამერიკელებს მისი ნამდვილი სახე დავანახვო. სააკაშვილი მათ თვალში ნაცარს აყრის.

**— რას გულისხმობთ?**

— 2004 წელს ხელისუფლებაში მოსვლიდან ორი წლის განმავლობაში, ის მართლაც აშენებდა დემოკრატიულ სისტემას. მაგრამ მან ამ გზას გადაუხვია. ის ტოტალიტარულ სახელმწიფოს ქმნის.

**— რას მოითხოვთ დასავლეთისგან?**

— მე არაფრის მოთხოვნის უფლება არ მაქვს. მაგრამ მინდა, უბრალოდ ვთხოვო დასავლეთს, დაინახოს რეალური სიტუაცია, რომელიც ჩვენს ქვეყანაშია შექმნილი და სააკაშვილს თავი არ მოატყუებინოს. ევროპამ და ამერიკამ საქართველოს ხელისუფლება მისი მოქმედებების მიხედვით უნდა შეაფასოს და არა სიტყვების და დაპირებების. წინააღმდეგ შემთხვევაში სააკაშვილი საქართველოს დიქტატურად გადააქცევს.

**— თქვენი წინადადება რაში მდგომარეობს?**

— ბოლო დროს ხშირად ვსაუბრობ ევროპული ქვეყნების ელჩებთან. იმედი მაქვს, რომ ევროპა დაგვეხმარება ნამდვილად თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარებაში. საქართველოს სურს, შექმნას პრეცედენტი, რომ ხელისუფლების გადაცემა აქ მოხდეს არჩევნების და არა რევოლუციის გზით, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდებოდა ხოლმე. მე მინდა, რომ საერთაშორისო დამკვირვებლები, მაგალითად, ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციიდან (ეუთო), ექვსი თვის განმავლობაში დააკვირდნენ საარჩევნო კამპანიას.

**— სააკაშვილის ზედმეტად ნეგატიურ სურათს ხომ არ ხატავთ? მან პოლიციის რეფორმა ჩაატარა, რომელმაც უცხოეთში დიდი ყურადღება მიიპყრო.**

— პოლიციის რეფორმა წარმატებული იყო. ათასობით პოლიციელმა შეწყვიტა ქრთამის აღება, მაშინ, როდესაც მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში პოლიცია კორუმპირებულია. მაგრამ კორუფცია აღმოიფხვრა დაბალ რგოლებში, მაშინ, როდესაც მაღალ რგოლში ადამიანთა მცირე ჯგუფი ჯიბეს ისქელებს.

**— თქვენ ადანაშაულებთ სააკაშვილს იმაში, რომ იგი პირადადაც გამდიდრდა?**

— რა თქმა უნდა. მან შექმნა ეს სისტემა. ეკონომიკაში დაახლოებით 15, 20 ადამიანი დომინირებს. ქართული ეკონომიკის დიდ ნაწილს გენერალური პროკურორი აკონტროლებს; თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი აკონტროლებს გაზის და ნავთობის ბიზნესს.

**— მთავრობა, თავის მხრივ, კრემლის აგენტს გიწოდებთ. ქონება რუსეთში დააგროვეთ. რამდენად ვალდებული ხართ რუსეთის წინაშე?**

— არანაირად. მე ვარ ვალდებული ჩემი ქვეყნის წინაშე. ჩემი რესურსების 99% პროცენტს საქართველოში ვხარჯავ. მე განვაახლე აქ ყველა თეატრი და მუზეუმი; ავაშენე გზები, და 50 ახალი სკოლა. რუსი ჯაშუშები ასე რომ იქცეოდნენ, ჩემი ქვეყნის წარმატება ასეთი აგენტების სიმრავლეზე იქნებოდა დამოკიდებული. 10 წელია რუსეთში არ ვყოფილვარ.

**— კავკასია დენთის კასრია. ირანი, რომელიც ისრაელის საჰაერო დარტყმების სამიზნე შეიძლება გახდეს, თქვენი მეზობელია. აზერბაიჯანი თავის სამხედრო პოტენციალს აძლიერებს. საქართველოს კონფლიქტები სამხრეთ ოსეთში და აფხაზეთში კვლავ გადაუჭრელია. ხომ არ სჭირდება საქართველოს სტაბილური პირობები, და არა ლიდერი, რომელიც, თქვენი თქმით, ორი წლის შემდეგ გადადგომას გეგმავს?**

— ისეთ პატარა ქვეყანას, როგორიც საქართველოა, ძალიან მცირე გავლენა აქვს გლობალური დონის კონფლიქტების განვითარებაზე. დიახ, ჩვენ შეიძლება მოვლენათა ასეთი განვითარების მსხვერპლნი გავხდეთ, მაგრამ რთული რეგიონალური სიტუაცია არ ამართლებს ერთი ადამიანის მიერ ხელისუფლების შენარჩუნების გადაწყვეტილებას. ჩემთვის ცხადია, რომ დემოკრატიზაცია ძალიან რთული პროცესია.

**— როგორ გეგმავთ სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის კონფლიქტების მოგვარებას?**

— ჩვენ აღვადგენთ პირდაპირ მოლაპარაკებებს ჩვენს დებთან და ძმებთან. ჩვენ დავიწყებთ მოლაპარაკებას რუსეთთან. ჩვენ უნდა გვახსოვდეს ჩვენი ისტორია. ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩვენი თანაცხოვრება მშვიდობიანი იყო.

**— რა პირობებში იქნებოდა თქვენთვის მისაღები ამ რეგიონების დამოუკიდებლობა?**

— ქართველი ხალხი არასდროს დათანხმდება მათ დამოუკიდებლობაზე.

**— თბილისში ვიზიტის დროს მარტის შუა რიცხვებში გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ გიდო ვესტერველეს სურდა თქვენთან შეხვედრა. რატომ არ მიიღეთ მიწვევა?**

— გულწრფელად, რომ გითხრათ, ცოტა არ იყოს შეურაცხყოფილი დავრჩი. მან იმავე შეხვედრაზე მიმიწვია, სადაც იმ ფსევდოოპოზიციის წარმომადგენლებს ხვდებოდა, რომლებიც სააკაშვილს ჯიბეში ჰყავს. შესაძლოა, ის სწორად არ იყო ინფორმირებული. ვესტერველე ის იყო გაემგზავრა (ქვეყნიდან), როდესაც ასობით ჩემს მხარდამჭერს დაკითხვებს უწყობდნენ.

**— რუსმა ოლიგარქმა მიხეილ ხოდორკოვსკიმ ერთხელ გამოიწვია რუსეთის ლიდერი ვლადიმერ პუტინი. ის თქვენზე მდიდარი იყო, მაგრამ დღეს ციხეშია. არ გეშინიათ, რომ იგივე ბედს გაიზიარებთ?**

— მე ჩემს გადაწყვეტილებას არ შევცვლი. ციხის არ მეშინია, არსებობს უარესი საფრთხეები. ისინი ყველაფერზე წამსვლელები არიან.

SPIEGEL

## შარო, საიდან მოდიხარ?

## ზუგდიდში პოლიტიკური აქტივისტები დააკავეს

**ზუგდიდში, როგორც ვიუწყებოდით, ორი პოლიტიკური აქტივისტი „თავისუფალი დემოკრატი" სერგო ჩაჩიბაია და „ამომრჩეველთა ლიგის" წარმომადგენელი კახა მიქაია დააკავეს. ორივეს დაკავება სავარაუდოდ მათ მიერ სამეგრელოში ბანდფორმირებების არსებობის გახმაურების ფაქტს უკავშირდება.**

**სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის ყოფილი უფროსის მოადგილემ სერგო ჩაჩიბაიამ ამ ხელისუფლების „წყალობით" ერთხელ უკვე მოიხადა სასჯელი, თუმცა ეს არ აკმარეს და მეორედ გაუშვეს გისოსებს მიღმა. ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ მას წინასწარი ორთვიანი პატიმრობა მიუსაჯა. სერგო ჩაჩიბაიას განცხადებით, ის დაკავებულია პოლიტიკური ნიშნით. „მე ჩემს მეგობრებთან ერთად ვიმყოფებოდი ავტოპროფილაქტიკაში, ჩემთან მოვიდა ვიღაც 25 წლამდე პიროვნება და დამიწყო გინება, თითქოს მე მას არ ვასვენებდი და რამდენჯერმე მყავდა დაკავებული. არადა, მე 2003 წელს დავანებე თავი პოლიციაში მუშაობას და იმ დროს ის სკოლის მოსწავლე იქნებოდა. მე მივხვდი, რომ ამ სიტუაციას პროვოკაციის სუნი უდიოდა და ამ ახალგაზრდისთვის ხმა არ გამიცია. როგორც ჩანს, იქვე ახლოს პოლიციელები იყვნენ ჩასაფრებულნი და უმალვე მოცვივდნენ ორი მანქანით და დამაკავეს, თითქოს მე ვარღვევდი საზოგადოებრივ წესრიგს. მე პოლიციისთვის წინააღმდეგობა არ გამიწევია და მოთხოვნისთანავე ჩავჯექი მანქანაში. საქმე კი ისე წარმოაჩინეს, თითქოს მე შევეწინააღმდეგე პოლიციელებს მანქანაში, ხელი გავარტყი მათ, ასევე თითქოს აღმომიჩინეს ცივი იარაღი, დანა. დაკავებამდე მე რამდენჯერმა გამაფრთხილეს, რომ შევუშვებოდი პოლიტიკურ საქმიანობას და სწორედ ამიტომაც მომიწყვეს ეს პროვოკაცია", — თქვა სერგო ჩაჩიბაიამ.**

**ადვოკატებმა მოითხოვეს სერგო ჩაჩიბაიას განთავისუფლება 10 000 ლარი გირაოს სანაცვლოდ, მაგრამ ეს წინადადება არ გაითვალისწინეს იმ მოტივით, რომ თურმე სერგო ჩაჩიბაია, როგორც ადრე ნასამართლევი, საშიშია საზოგადოებისთვის და გირაოთი გაშვების შემთხვევაში დაემალებოდა სასამართლოს. ეს გადაწყვეტილება გააპროტესტეს სასამართლო დარბაზში მყოფმა ადამიანებმა, მათ შორის კახა მიქაიამ, მან პროკურორსა და მოსამართლეს ახალაიას მონები უწოდა. კახა მიქაიამ თავისი საპროტესტო გამოსვლა სასამართლო დარბაზის გარეთაც გააგრძელა, რის გამოც ის პოლიციელებმა ძალით ჩატენეს მანქანაში და პოლიციის სამმართველოში წაიყვანეს. მას ბრალად წაუყენეს წვრილმანი ხულიგნობა — ადმინისტრაციული სასჯელი.**

**ჯერ სასამართლოსთან, ხოლო შემდეგ ზუგდიდის პოლიციის სამმართველოსთან მრავლად იყო კოალიცია „ქართული ოცნების" წევრები და მათი მხარდამჭერები. „თავისუფალი დემოკრატების" წარმომადგენლის ირაკლი ჩიქოვანის განცხადებით ისინი ბოლომდე იბრძოლებენ, რომ დაკავებულები ამ უსამართლობიდან გამოიხსნან.**

ლადო ქირია,
ზუგდიდიდან

## ჟურნალისტი ნანა ფაჟავა თავისი შესაძლო დაკავების შესახებ საუბრობს

**ტელეკომპანია „მაესტროს" და ინტერნეტგამოცემა „პრესაგე.ტვ"-ს ჟურნალისტი ნანა ფაჟავა თავისი შესაძლო დაკავების შესახებ საუბრობს.**

**როგორც ფაჟავამ ზუგდიდის სასამართლოსთან კახა მიქაიას დაკავების შემდეგ განაცხადა, მას არ აპატიებენ იმას, რომ ირაკლი ალასანიასთან ერთად უკანონო ბანდფორმირებების შესახებ ინფორმაცია პირველმა გაავრცელა.**

**„მე აქამდე თავს ვიკავებდი მაგრამ, დღეს ვამბობ: ვინც რა უნდა დამაბრალოს, ის ადამიანები, რომლებიც მე გადავიღე და განლაგებული არიან სხვადასხვა ქუჩაზე თუ სახლებში, ისინი ხალხის დასაშინებლად და არჩევნების ჩასაშლელად არიან მობილიზებული" — აცხადებს ფაჟავა.**

**ჟურნალისტის თქმით, მას შემდეგ, რაც მან დაჯგუფების წევრების გადაღება მოახერხა, აღნიშნული ტერიტორიები უკვე ცარიელია.**

www.epn.ge

## დიპლომატიის ანაბანა

# ვაჟა ლორთქიფანიძე: ამერიკა მხარს უჭერს ქართველ ხალხს და არა პიროვნებებს!



**ამერიკის ელჩები მიდიან და მოდიან. ზოგიერთები ღრმა კვალს ტოვებენ ქვეყნის ისტორიაში, ზოგიერთები კი – რეჟიმების უპირობო მხარდამჭერნი არიან და დემოკრატიისთვის მებრძოლი ხალხის თვალში ანტიამერიკულ განწყობას აღვივებენ. უკვე შეიძლება ითქვას, რომ ჯონ ბასის ბოლოდროინდელმა პირდაპირობამ განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანების სიმპათია დაიმსახურა, რადგან მათ დაინახეს, რომ ამერიკელები მოვლენებს მთლად სწორხაზოვნად არ ხედავენ, როგორც ეს რიჩარდ მაილსისა და ჯონ ტეფტის დროს იყო. რა კვალი დატოვეს ამერიკელმა დიპლომატებმა საქართველოზე?! რომელ ელჩს ჰქონდა დაძაბული დამოკიდებულება მიხეილ სააკაშვილთან და რატომ ერკვევა მომავალი ელჩი რიჩარდ ნორლანდი ასე კარგად საქართველოს საშინაო საქმეებში?! ამ ყველაფერზე Presage.tv-ს საქართველოს ყოფილი სახელმწიფო მინისტრი, საქართველოს ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარე ვაჟა ლორთქიფანიძე ესაუბრება.**

**– რა გავლენა მოახდინეს აშშ-ის ელჩებმა საქართველოს ისტორიაზე და რომელმა მათგანმა დაგამახსოვრათ თავი?**

– საქართველოში ამერიკის პირველი ელჩის – კენთ ბრაუნის მოღვაწეობით, ვფიქრობ, ჩვენი ქვეყნის ცხოვრებასა და დიპლომატიურ ურთიერთობათა ისტორიაში ძალიან მნიშვნელოვანი ეპოქა დაიწყო. სწორედ იმ პერიოდში ყალიბდებოდა ქართულ-ამერიკული ურთიერთობები. თუკი ქართულ-გერმანულ, ქართულ-ბრიტანულ ურთიერთობებს უფრო დიდი ხნის ისტორია ჰქონდა და გარკვეული გამოცდილება და ტრადიციები უკვე არსებობდა, ქართულ-ამერიკული დიპლომატიური, სახელმწიფოთშორისი ურთიერთობები სწორედ 1992 წლიდან იღებს სათავეს. სწორედ იმ ხანებში კიდევ უფრო მკაფიოდ განაცხადა საქართველომ თავისი დასავლური ორიენტაციის შესახებ. ვფიქრობ, ამან უაღრესად დიდი მნიშვნელობა იქონია თავად საქართველოს დამოუკიდებლობის ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებაში. მოგეხსენებათ, ეს იყო ზვიად გამსახურდიას შემდგომი პერიოდი. გამსახურდიას დროს ამერიკასთან დიპლომატიური ურთიერთობა, სამწუხაროდ, ჯერ არ იყო დამყარებული. ასე რომ, ეს ურთიერთობა სამოქალაქო ომის, ძმათამკვლელი ომის, ტერიტორიული ომის პირობებში 1992 წლიდან დამყარდა. სწორედ მაშინ ებრძოდა რუსეთი საქართველოს და აფხაზეთის კონფლიქტი რეალურად კრემლში იყო ორგანიზებული და დაგეგმილი. ეს მოსკოვის მიერ ორგანიზებული კონფლიქტი გახლდათ და რუსული ავიაცია ბომბავდა სოხუმს მთელი წელიწადნახევრის განმავლობაში. საქართველომ ასეთი უმძიმესი პერიოდიდან გამოსვლა სწორედ ამერიკის ძალიან ძლიერი მხარდაჭერის საშუალებით შეძლო. ეს იყო როგორც პოლიტიკური, მორალური, ასევე, მნიშვნელოვანი მატერიალური და ფინანსური, სასურსათო, ენერგეტიკული მხარდაჭერა. რამდენიმე წლის განმავლობაში ჩვენი ქვეყანა აშშ-ის პრეზიდენტის რეზერვიდან გამოგზავნილი ხორბლით არსებობდა, პოლიტიკურ მხარდაჭერაზე აღარაფერს ვეუბნებით. ამ ფონზე ხდებოდა ევროსტრუქტურებისკენ ჩვენი სვლა. ამ ყველაფერს ხელს უწყობდა ამერიკული დიპლომატია და ამერიკის ელჩი საქართველოში.

**– თუ გავითვალისწინებთ, რომ სხვადასხვა დროს, ამერიკის ოფიციოზი ძირითადად მხარდაჭერას უცხადებდა საქართველოს ხელისუფლებაში მოკალათებულ ადამიანებს, ალბათ, კენთ ბრაუნიც არ იყო გამონაკლისი და შევარდნაძის მიმართ მხარდაჭერას გამოხატავდა.**

– იმ პერიოდში ეს მხარდაჭერა, რა თქმა უნდა, არა მხოლოდ კენთ ბრაუნმა, არამედ ამერიკის მთელმა მაშინდელმა ლიდერებმა გამოხატეს. მაშინდელი აშშ-ის პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი, საგარეო საქმეთა მინისტრი პირდაპირ აცხადებდნენ, რომ ისინი შევარდნაძის მეგობრები არიან და კავკასიასა თუ ყოფილ საბჭოთა სივრცეში პროცესებს შევარდნაძის თვალით უყურებდნენ. პირდაპირ ასეთი იყო მათი განცხადებები. ამას აკეთებდა კლინტონიც, მისი წინამორბედი მამა ბუშიც. ამის დასადასტურებლად აქ ჩამოდიოდნენ: სახელმწიფო მდივანი, ანუ საგარეო საქმეთა მინისტრი ქალბატონი ოლბრაიტი, მისი მოადგილეები, თავდაცვის მინისტრი მოადგილეებითურთ და სხვები, რაც მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის. ასე რომ, საქართველომ, რუსეთის მხრიდან ასეთი დიდი შეტევის მიუხედავად, შეძლო დამოუკიდებლობის შენარჩუნება და მნიშვნელოვანი ადგილის მოპოვება. ვინმეს ჰგონია, რომ ასეთი დიდი მხარდაჭერის გარეშე შესაძლებელი იქნებოდა, საქართველოს სრულიად ახალი ფუნქცია შეეძინა?! მხედველობაში მაქვს ევრაზიის დერეფანი, ის დიდი საერთაშორისო პროექტები, რომელიც სწორედ დასავლური ორიენტაციის მაჩვენებლებია – ბაქო-ჯეიჰანი და სხვა, რაც სწორედ ამერიკელების და ამერიკული დიპლომატიის მხარდაჭერით იყო შესაძლებელი.

**– შევარდნაძისადმი მათი მხარდაჭერა რამდენად ნიშნავდა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისკენ სწრაფვის მხარდაჭერას? ხომ არ იყო ეს ხელისშემშლელი იმისთვის, რომ ქვეყანა დემოკრატიულად განვითარებულიყო?**

– ისინი სწორედ იმ პერიოდის შევარდნაძეში ხედავდნენ დემოკრატიის მხარდაჭერას და ამას დღესაც აღნიშნავენ. რა თქმა უნდა, ყველაზე კარგი შემთხვევაა, როდესაც ამერიკის სტრატეგიული ინტერესები და ნებისმიერი სხვა ქვეყნის ინტერესები ემთხვევა ქვეყნისა და ხელისუფალის კურსს. თქვენ კარგი კითხვა დასვით, რა თქმა უნდა, შევარდნაძის დროსაც მათთვის საქართველო იყო მნიშვნელოვანი და საქართველო მაშინ ყალიბდებოდა, როგორც მომავალი სტრატეგიული პარტნიორი და ისინი შევარდნაძესა და იმ ხელისუფლებაში სწორედ ამის ხელშემწყობსა და გარანტს ხედავდნენ. ასე იყო სააკაშვილის დროსაც. მათ კვლავ განაგრძეს საქართველოს მხარდაჭერა.

რა თქმა უნდა, ეს ილუზია იყო მათი მხრიდან, მაგრამ სააკაშვილში ისინი ხედავდნენ პარტნიორსა და მხარდამჭერს, მაგრამ თანდათანობით (სამწუხაროდ, ამას დრო დასჭირდა), როგორც კი დარწმუნდნენ, რომ ეს უკვე აცდენილი რამეა ერთმანეთისგან, მაშინვე მხარდაჭერა აღარ გამოხატეს და დღეს უკვე სააკაშვილის მიმართ კრიტიკა მკვეთრად ისმის. სხვათა შორის, ასევე იყო შევარდნაძის დროსაც. შევარდნაძის მმართველობის ბოლოს, ორი-სამი წლის განმავლობაში, განვითარდა თუ არა სტაგნაციური პროცესები და განვითარდა თუ არა კორუფცია, შეფერხდა თუ არა საქართველოს, როგორც სახელმწიფოს განვითარება, ამერიკელებმა იმ წუთში ხმა ამოიღეს და გამოაცხადეს, რომ მათთვის მნიშვნელოვანია კორუფციასთან ბრძოლა. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან დიდი პატივისცემა გამოხატეს შევარდნაძის მიმართ, თქვენ გახსოვთ, 2003 წელსაც მათ კატეგორიულად აღნიშნეს, რომ შევარდნაძე უნდა წასულიყო ხელისუფლებიდან. ასევეა დღეს, სააკაშვილის შემთხვევაშიც!.

რა კითხვაც თქვენ დამისვით, ქვეყნებისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია. **ამერიკისთვის პიროვნებები არ არის მთავარი, არამედ მთავარია სახელმწიფო და მათი ინტერესების სტრატეგიული თანხვედრა. სანამ სახელმწიფოს ლიდერი ამას ხელს უწყობს, ის მათთვის მისაღებია.**

**– ხომ არ ფიქრობთ, რომ ქართველმა ერმა უფრო ადრე დაინახა, რომ სააკაშვილი აღარაა დემოკრატიის შუქურა და ამ მხრივ დროში ჩამოგვრჩა ამერიკული დიპლომატია, რომელმაც მხოლოდ მოგვიანებით აღიქვა ეს რეალობა?!**

– ბუნებრივია, ამაში გეთანხმებით და ასეც უნდა იყოს – ქართველი ხალხი ბევრად უფრო მკაფიოდ ხედავს. თქვენს შეკითხვაში ასეთი ნოტა გავიგე, რომ თქვენ გარკვეულწილად, თვლით, რომ უცხოელებმა და ამერიკელებმა ეს ასე სწრაფად ვერ დაინახეს ან დღესაც ბოლომდე ვერ ხედავენ, მაგრამ, მოდით, მომთხოვნები ვიყოთ თვით ქართველი საზოგადოების მიმართაც. რამდენი უწოდებს დღეს მაშინდელ გადატრიალებას რევოლუციას? რამდენ ადამიანს და ათასობით ადამიანს დასჭირდა დრო იმისთვის, რომ დაენახათ სააკაშვილის რეალური სახე?! განა მაშინვე არ იყვნენ ადამიანები, რომლებიც ამბობდნენ, სინამდვილეში, რასთან ჰქონდათ საქმე?! განა მაშინვე არ იყო ამ სააკაშვილის გუნდის სახე ცნობილი?! აბა, გაიხსენეთ, მათი თავდაპირველივე დამოკიდებულება ბევრი რამის მიმართ, თუნდაც, ეროვნული ღირებულებების მიმართ. ხელისუფლებაში მოსვლამდეც ისინი გამოხატავდნენ ამას და, რაც შეეძლოთ, იბრძოდნენ ამის წინააღმდეგ. აბა, გაიხსენეთ, როგორი რიტორიკა ჰქონდა სააკაშვილს მაშინაც და როგორ ლაპარაკობდა, როგორც დიქტატორი, როგორც კი მოვალ ხელისუფლებაში, ციხეებში ჩაგსვამთ, ციხეში ამოგალპობთ! მოსვლის პირველსავე დღეებში მას ეკუთვნის ფრაზები: ადგილზე გაანადგურეთ! გეკითხებით, ქვეყანაში, სადაც სიკვდილით დასჯა გაუქმებულია, შეიძლება, პრეზიდენტი, თანაც, თავისი განათლებით სამართალმცოდნე და დემოკრატიის პრეტენზიის მქონე, ხალხს ასე მიმართავდეს? – ადგილზე გავანადგურებთ, ყოველგვარი სასამართლოს გარეშე. სიკვდილით დასჯა გაუქმებულია და ის ადგილზევე ანადგურებს ადამიანებს, მასობრივი ადგილზე განადგურებები 2004 წლის დასაწყისიდანვე მოხდა, მისი პირველივე დღეებიდან. რატომ მაშინ არ დაინახა ეს ქართულმა საზოგადოებამ? დღეს ბევრი პოლიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე გამოდის და ლაპარაკობს, ჩვენ 2007 წელს აგვეხილა თვალები. სამწუხაროა, რომ ასე ხდება და რატომ ვთხოვთ უფრო მკაცრად პასუხს უცხოელს, ვიდრე ჩვენს თავს?

**– რიჩარდ მაილსი და ჯონ ტეფტი – თუ გავითვალისწინებთ მათ უპირობო მხარდაჭერას სააკაშვილის ხელისუფლების მიმართ, რა კვალი დატოვეს მათ საქართველოს ისტორიაში?**

– ასე კონკრეტულად პიროვნებების დახასიათება არ მინდა. სხვათა შორის, რიჩარდ მაილსამდე საქართველოში ამერიკის ელჩად მოვლინებული იყო შესანიშნავი პიროვნება – კენეტ იალოვიცი. ტეფტი შედარებით უსახურ ადამიანად მიმაჩნია და შედარებით უკვალო მოქმედების ელჩი იყო. თუმცა, ახლა არ შევუდგები მათი პიროვნებების დახასიათებას. რაც შეეხება მაილსს, ეს, ალბათ, უფრო რთული შემთხვევაა, მაგრამ ჩემთვის ცნობილია, რომ უკვე იმ წლებშივე მაილსი საკმაოდ კრიტიკულად იყო განწყობილი სააკაშვილის მიმართ. რამდენადაც ვიცი, მათ ძალიან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ. მოდით, პიროვნებების დახასიათებას ნუ შევუდგებით, ელჩი არის ელჩი და მას დამოუკიდებელი სახელმწიფო პოლიტიკის წარმოება არ შეუძლია. ელჩი ახორციელებს იმ პოლიტიკას, რასაც მისი სახელმწიფო შეიმუშავებს.

**– თუ გავითვალისწინებთ, რომ თავის დროზე რიჩარდ მაილსი სერბეთშიც მონაწილეობდა იქაურ რევოლუციურ პროცესებში, საქართველოშიც მსგავსი პროცესები განვითარდა ვარდების რევოლუციის სახით.**

– გარკვეული საფუძვლები, რასაკვირველია, იყო, მაგრამ იმ გადატრიალების მთავარ შემოქმედად მე პირადად მაილსი არ მიმაჩნია.

**– როგორ გგონიათ, აშშ-ის მომავალი ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი რა ფუნქციით მოდის საქართველოში? რიჩარდ მაილსის პერიოდის მსგავსად, რევოლუციას ვერ ვიტყვით, მაგრამ პოლიტიკურ ცვლილებებს უნდა ველოდოთ?**

– საერთოდ, ელჩებს ასეთი ფუნქციები არ აქვთ. მე ელჩად მუშაობის 4-წლიანი გამოცდილება მაქვს და რამდენადაც ვიცნობ დიპლომატიას, ასეთი ფუნქციებით ელჩები არ იგზავნებიან. ეს პროცესები ვითარდება თავად საქართველოში. ამერიკის, საფრანგეთის, ბრიტანეთის თუ სხვა ქვეყნის დიპლომატიები, რა თქმა უნდა, ცდილობენ, ამაში ზუსტად გაერკვნენ და პროცესების საქმის კურსში იყვნენ. საქართველოში ამერიკის მომავალი ელჩის, რიჩარდ ნორლანდის განცხადებები მისი პირადი განცხადებები არ არის. ნუ დავუშვებთ შეცდომას, რომ ელჩი რასაც აცხადებს, ის მის პირად განცხადებად ჩავთვალოთ, რომ ის კარგი კაცია და კარგ განცხადებებს აკეთებს და, რომ მისი წინამორბედი, ვთქვათ, მაილსი, ცუდი კაცი იყო და ცუდად იქცეოდა. ეს ასე არ არის, ელჩი ნახევრადაც კი არ შეცვლის ტონალობას, თუკი ეს არ არის მისი დავალება. თუკი ეს არ მომდინარეობს მისი სახელმწიფოსა და ხელმძღვანელებისგან. ის, რომ ამერიკის ჯერ არდანიშნული ელჩი უკვე ასე კარგად ერკვევა რეალურ პროცესებში და ასეთ მწვავე განცხადებებს აკეთებს, კიდევ უფრო მეტად უსვამს ხაზს, რომ აშშ-ის ხელისუფლება, თეთრი სახლი და სახელმწიფო დეპარტამენტი დიდი გულმოდგინებით აკვირდებიან საქართველოში მიმდინარე პროცესებს და მათთვის სულერთი არ არის, რა მოხდება საქართველოში. მათთვის მნიშვნელოვანია ღირებულებები. ეს აჩვენებს იმას, რომ მათი სტრატეგიული და სააკაშვილის პირადი ინტერესები დიდი ხანია მკვეთრად აცდა ერთმანეთს.

**– რიჩარდ ნორლანდის მოღვაწეობა აქამდე რით აღინიშნა?**

– რიჩარდ ნორლანდი და ჯონ ბასი საკმაოდ გამოცდილი დიპლომატები არიან. ჩემი მხრიდან პოლიტიკური უტაქტობა იქნება, მათი ბიოგრაფიები შევაფასო. მათ ყველას საკმარისი გამოცდილება და დამსახურება აქვთ დიპლომატიის წინაშე და საკმარისი პოტენციალი იმისთვის, რომ ელჩის მოვალეობა ღირსეულად შეასრულონ.

**მანანა ნოზაძე**

## ინფორმაცია

### ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის აღდგენის საკითხში მნიშვნელოვანი დიპლომატიური წრეებიც არიან ჩართული

**ამის შესახებ კოალიცია „ქართული ოცნების“ საინიციატივიო ჯგუფის წარმომადგენელმა ელისო ჩაფიძემ ჟურნალისტებთან გუშინდელ შეხვედრაზე განაცხადა.**

**„საკმაოდ მნიშვნელოვანი დიპლომატიური წრეები არიან ჩართული საქართველოს ხელისუფლებასთან ამ თემაზე საუბარში, თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით მეტად არ დავკონკრეტდები. გეტყვით, მხოლოდ იმას, რომ ზეწოლაზე საუბარი არ არის, ჩვენ ვაღიარებთ, რომ საქართველოს ხელისუფლება სუვერენულია თავის გადაწყვეტილებაში, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ დიპლომატიური თუ საერთაშორისო ორგანიზაციები თავიანთ დამოკიდებულებას არ აფიქსირებენ“, – განაცხადა ელისო ჩაფიძემ.**

**მისივე განმარტებით, „ქართული ოცნება“ დარწმუნებულია, რომ ბიძინა ივანიშვილი 5 აპრილს მოქალაქეობას მიიღებს.**

ინტერპრესი

გლობუსი

# საქართველოს „ბედნიერებაში“ შეტანილი ამერიკა-ისრაელის წვლილი

**საქართველოს პრეზიდენტის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში გამოსვლა მრავლით იყო აღსანიშნავი, მაგრამ მთავარი უკვდავი საბჭოთა თემა და საბჭოეთის მემკვიდრე რუსეთის მორიგი ლანძღვა გახლდათ. პრეზიდენტმა, რუსეთამდე მისასვლელ გზაზე „გპი“ მოსინჯა და უშვერი სიტყვებით ლანძღა საბჭოთა საქართველოს გამორჩეული პირმშო — პოლიტექნიკური ინსტიტუტი, შემდეგ უფრო „ჩაუღრმავდა“ თემას და კოლონიალიზმის საკითხებს შეეხო. მისი განმარტებით კოლონიზატორები, როდესაც ტოვებდნენ კოლონიებს, იმ ქვეყნებში ტოვებდნენ ჩამოყალიბებულ სახელმწიფო სისტემას, ინფრასტრუქტურას და ა. შ., მაგრამ, როდესაც რუსეთმა საქართველო დატოვა, ქვეყანა მიწასთან იყო გასწორებული. მან ისიც თქვა, რომ რუსი კოლონიზატორები უნიტაზებში ცემენტს ყრიდნენ. როგორც ჩანს კოლონიურ საქართველოში უნიტაზიც ყოფილა, რას ერჩი რუსეთს.**

ხუმრობა იქით იყოს და ისტორიკოსებს დიდი შრომა დასჭირდებათ, რათა 70-წლიანი საბჭოთა სისტემა კოლონიალიზმად შეაფასონ. საინტერესოა, რომელ ქვეყანაში აიყვანა კოლონიზატორებმა განათლება იმ სიმაღლეზე, როგორც საბჭოთა სისტემამ საქართველოში? რომელ ქვეყანაში გახსნეს ინგლისმა, საფრანგეთმა, პორტუგალიამ, ჰოლანდიამ, სხვებმა უმაღლესი სასწავლებლები, მეცნიერებათა აკადემიები, თეატრები, კინოსტუდიები, როგორც რუსეთმა თავის „კოლონიებში“, მათ შორის საქართველოში? მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაზე არაფერს ვიტყვი, ვინაიდან ოცწლიანი თავისუფლების მიერ მოტანილი ნგრევა უპირველესად ამ დარგებს შეეხო და რომ არა ზოგიერთთა სალი, ობიექტური აზროვნება, წარსული დიდების გახსენება შეუძლებელი იქნებოდა, მით უმეტეს სტუდენტებისათვის, რომლებმაც მათდა სამწუხაროდ, არათუ ოცი წლის წინანდელი ისტორია, არამედ დღევანდელიც არ იციან.

თუ რას ნიშნავდა კოლონიზატორი, იოლად გავიგებთ აშშ-ის პრეზიდენტის რუზველტის სიტყვების გახსენებით: „ჩერჩილმა გამომიცხადა, რომ მისი უდიდებულესობის პრემიერ-მინისტრი იმიტომ კი არ გახდა, რომ ბრიტანეთის განადგურებას უხელმძღვანელოს. მე კი მგონია, რომ ამერიკა ინგლისს ამ ომში არ დაეხმარება მხოლოდ იმისთვის, რომ ინგლისს საშუალება მიეცეს, ისევ ძველებურად და დაუნდობლად თრგუნავდეს კოლონიურ ხალხებს“ — განაცხადა რუზველტმა. რუზველტის მოსაზრების გახსენება უდავოდ დადებითად განაწყობს მკითხველს არა მარტო მისდამი, არამედ იმჟამინდელი ამერიკისადმი, რითაც დღევანდელისგან ძალიან განსხვავდება.

**მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მკვეთრად შეიცვალა მსოფლიო. ვითარებამ აიძულა კოლონიზატორები სხვაგვარად მიდგომოდნენ დეკოლონიზაციის საკითხებს. ომში გამარჯვებულ აშშ-ს სხვა ავტორიტეტი ჰქონდა. ის აღარ იყო ოკეანის გაღმა, საკუთარ ცხოვრებაში ჩაფლული ქვეყანა. სამწუხაროდ რუზველტი ვერ მოესწრო ომის დამთავრებას, განგებას რომ მისთვის რამდენიმე წელი დაეცლია, სხვა ომისშემდგომი მსოფლიო იქნებოდა. რუზველტის პროგრესული იდეები ექსტრემისტულით შეიცვალა. არსებული კოლონისტური სულისკვეთება საკუთარი ინტერესებისა და გავლენის სფეროთა შექმნის იდეით ჩანაცვლიდა. ახალ მსოფლიოში, ახალი წესების მამამთავარი აშშ გახდა — ადამიანის უფლებების დაცვისა და დემოკრატიის მომხიბვლელი ლოზუნგით.**

ერთპიროვნული ლიდერობა თავისთავად იწვევს არა მარტო მაღალი პოზიციისთვის ბრძოლას, არამედ მოპაექრეთა წინააღმდეგ, როგორც ფარულ, ისე გახსნილ მოქმედებას — ხშირ შემთხვევაში აშკარად მიუღებელს, ვერაგულს. ერთპიროვნული ლიდერი ვერ იტანს სხვათა მხრიდან პიედესტალისათვის ბრძოლას, განსხვავებულ პოზიციას, სურვილს იმისა, რომ თვით მან გადაწყვიტოს საკუთარი პრობლემა. მოპოვებული გავლენის სფეროთა შესანარჩუნებლად ჰეგემონი არ იშურებს სახსრებს, სამხედრო ძალას. მისი საზღვაო ფლოტი მსოფლიოს ზღვებსა და ოკეანეებს სერავს, სამხედრო ბაზები მიმობნეულია დედამიწის სხვადასხვა კუთხეში, არასამთავრობო ორგანიზაციები აკონტროლებენ ნებისმიერი ქვეყნის შიდა ცხოვრებას. „კეთილშობილური“ საქმის კეთებაში ჰეგემონს მხარს უმშვენებენ მოკავშირეები. მათ მიმართ ჰეგემონის დამოკიდებულება ამ სიტყვის შესატყვისია. ჰეგემონი ვერც მოკავშირის აღმასვლას იტანს. ფინანსური მაქინაციებით ის უმალ მიუჩენს მას შესაბამის ადგილს. საფინანსო მანიპულაციების საწარმოებლად მსოფლიო ბანკი და სავალუტო ფონდი ჰყავს გამწესებული. მათი მოქმედების არეალი გაცილებით დიდია, ვიდრე სამხედრო ბლოკ ნატოს.

**ჰეგემონს ფავორიტებიც ჰყავს — მათ ირგვლივ მდებარე ქვეყნების მოსაწამლად. ახლო აღმოსავლეთში ასეთად ისრაელი მოიაზრება. ფავორიტობის პრეტენზია სააკაშვილის საქართველოსაც აქვს, თუმცა ჯერჯერობით ისრაელის დონეს ვერ ქაჩავს. ისრაელი სხვაა — სხვა ფუნქციით არა მარტო არაბებთან მიმართებაში, არამედ რუსეთთან მიმართებაშიც. ცხადია, ისრაელში არიან ადამიანები, რომლებიც არ იზიარებენ სიონისტურ ფილოსოფიას, მაგრამ მათი გავლენა დიდ პოლიტიკაზე უმნიშვნელოა. სიონისტურმა პოლიტიკამ ისრაელი ისეთ სახელმწიფოდ აქცია, რომელიც დღენიადაგ ავლენს აგრესიულობას არა მარტო პალესტინელთა, არამედ სხვა არაბული ქვეყნების მიმართაც. პალესტინელთა მიმართ სადამსჯელო ოპერაციების სიმრავლე ჩვეულებრივად აღიქმება „დემოკრატიულ“ დასავლეთში. ისრაელი რეგიონის თავნება ბავშვად არის ქცეული, რომლის აგრესიული ქმედება ჰეგემონის მხრიდან მხოლოდ თავზე ხელის გადასმას იწვევს.**

ისრაელს ერთობ დაძაბული ურთიერთობა აქვს ირანთან, ისე, როგორც მის დიდ მასწავლებელს. თეთრ სახლში მიღების დროს ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ნეთანიაჰუმ განაცხადა: „ირანის თვალში თქვენ დიდი ეშმაკი ხართ, ჩვენ პატარა. ის არ გვარჩევს ჩვენ ერთმანეთისგან და მართალიც არის. ჩვენ განუყოფლები ვართ. ყველამ იცის, რომ ახლო აღმოსავლეთში ამერიკა-ისრაელი ერთი ფორმატით გამოდიან“.

სააკაშვილის საქართველოს დამოკიდებულება ისრაელისადმი გამორჩეულია. მას მუდამ აქვს იმედი სტრატეგიული პარტნიორისა და მისი შეგირდის. თავის მხრივ სააკაშვილიც მზად არის მხარში ამოუდგეს ორივეს, თუნდაც ირანთან მიმართებაში. **თბილი ურთიერთობები, რომელიც ისრაელ-საქართველოს შორის სუფევს, მარტო მრავალსაუკუნოვანი კავშირებით არ არის განპირობებული. საუკუნოვანი ურთიერთობა სხვაა, პოლიტიკა სხვა, მით უმეტეს თუ ამ პოლიტიკის მიღმა შორს მიმავალი სიონისტური გეგმებია ჩაქსოვილი. ებრაელი მწერალი და მკვლევარი ლევ გუნინი სვამს კითხვას — „რატომ ილტვიან ებრაელები კავკასიისკენ“ და პასუხს თვითონვე სცემს: „კავკასია კოზირია ისრაელის ბრძოლაში რუსეთის, ირანის და სომხეთის წინააღმდეგ, თანაც კავკასია სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი ნედლეულის მოპოვებისა და ტრანსპორტირების გასაღებია“.**



ავტორი იმოწმებს Y-net naws — ისრაელის ახალი ამბების არხს: „2009 წლის 8 აგვისტოს, პარასკევ დილით, ქართულმა ტანკებმა და ქვეითებმა, ისრაელის სამხედრო მრჩეველთა დახმარებით დაიკავა ცხინვალი... მაგრამ რუსებმა მკაფიო ზღვარი დაუდეს ებრაელი ნავთობის მაგნატების გეგმას, გადაექაჩათ აზერბაიჯანის ნავთობი და თურქმენეთის გაზი საქართველოსა და თურქეთის გავლით, ნაცვლად მათი რუსეთის მილებისათვის მიერთებისა... ნავთობსადენმა უნდა მიაღწიოს ისრაელის ნავთობსაცავებამდე აშკელონსა და წითელ ზღვაზე ეილატში. იქიდან ნავთობი სუპერტანკერებით, ინდოეთის ოკეანის გავლით შორეულ აღმოსავლეთში შეიძლება გადაიზიდოს“; კანადაში გაქცეული მოსადის მალალჩინოსნის, ვიქტორ ოსტროვსკის წიგნიდან ცნობილი ხდება, რომ ისრაელის სპეციალისტები დედამიწაზე ყველაზე სისხლიანი და არაადამიანური რეჟიმების სადამსჯელო რაზმებს წვთრნიან. არსებობს მტკიცებულებები, რომ საქართველოში ისრაელის ფართო ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სამხედრო ინტერვენციაში აქტიურად მონაწილეობდნენ როტშილდების და როკფელერების ებრაული კლანები“ — წერს გუნინი და განაგრძობს — „ისრაელი საქართველოს უყურებს, როგორც „კავკასიის ისრაელს“ და „პალესტინის ისრაელს“ ადარებს — მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ „პალესტინის ისრაელს საქმე არაბულ გოლიათთან აქვს, ხოლო „კავკასიის ისრაელს“ — რუსეთთან“. ავტორი ყურადღებას ამახვილებს ერთობლივ ქართულ-ამერიკულ სწავლებაზე, რომელიც 2008 წლის 31 ივლისამდე ჩატარდა. სწორედ აქ ასწავლიდნენ ამერიკელები ქართველებს მჭიდროდ დასახლებული პუნქტების „წმენდას“ (ადგილობრივი მოსახლეობის გენოციდსძ და ამას „ანტიტერორისტულ წმენდას“ უწოდებდნენ. 2008 წლის ომი არ ყოფილა საქართველოს და სამხრეთ ოსეთს შორის ომი, ეს იყო ისრაელის (პირველ რიგშიძ და აშშ-ის მიერ რუსეთის წინააღმდეგ წარმოებული ომი. სამხედრო მოქმედებების დაწყებამდე. 11.000 ამერიკლმა სამხედრო მრჩეველმა საქართველო დატოვეს. მათ შეასწავლეს ქართველებს სამხრეთ ოსეთში შეჭრისა და რუსეთის არმიისათვის წინააღმდეგობის გაწევის ტექნიკა. ამერიკელი სამხედროები მთლიანად ჩაანაცვლა ისრაელმა“ — წერს გუნინი. მწერალი იხსენებს ისრაელის დელეგაციის პატივსაცემად გამართულ ბანკეტს და იმას, თუ რა ქათინაურებს ეუბნებოდნენ ქართველი მინისტრები სტუმრებს. უკანალში ძრომამ ისეთ პიკს მიაღწია, რომ ისრაელის გაზეთების დაცინვის საგანიც კი გახდა.

**პოლიტიკურ ინტრიგებში გამობრძმედილი ისარელი საქართველოს ხელისუფალთა ხარბი ბუნების შემყურე, შესაბამის დასკვნებს აკეთებს, ცხადია, საკუთარი საქმისათვის და არა იმ ქვეყნისათვის, ვის შვილებსაც ფეხებზე ჰკიდიათ სამშობლო. ასეთთა შარში გახვევა ადვილია, რაზეც 2008 წელიც მეტყველებს.**

**მაინც რას ფიქრობდნენ ვაშინგტონისა და თელ-ავივის პოლიტიკურ წრეებში, როდესაც იარაღით და სპეციალისტებით უზრუნველყოფდნენ ქართულ ჯარს? ნუთუ მათთვის საიდუმლოებას წარმოადგენდა სააკაშვილის გაუწონასწორებლობა? იქნებ სწორედ ეს ხიბლავდა მათ? ან რას მოელოდნენ რუსეთის მხრიდან? უმოქმედობას? პატარა ქვეყნის მიერ გაწნული სილის პასუხად მეორე ლოყის მიშვერას? ძნელია იმის დაჯერება, რომ აშშ-ისრაელი არ მოელოდნენ ასეთ რუსულ პასუხს. იქნებ ყველაფერთან ერთად მათ რუსეთის საზღვრებთან პერმანენტულად მოგიზგიზე ცეცხლი ხიბლავდათ?! თუ რა გეგმები იქსოვება რუსეთის მიმართ, კარგადაა ცნობილი. ვაშინგტონთელ-ავივის წაქეზებით საქართველოს ხელისუფლებას არაერთხელ გამოუთქვია ეს მოსაზრება, ანუ რუსეთის დაშლა.**

**საქართველოს ხელისუფლება ეტრფის აშშ-ს და ახლო აღმოსავლეთში მის შეგირდ — ისრაელს, რაც არ არის გასაოცარი, მაგრამ გასაოცარია მრავალსაუკუნოვანი ერის ესოდენ თავდავიწყებული ტრფობა. საქართველოს არც ისრაელის, არც ჰოლანდიის, არც აშშ-ის, არც თურქეთის და არც სხვა სახელმწიფოს ტრფობა არ უნდა ხიბლავდეს — ის საკუთარ თავს უნდა ეტრფოდეს. თანაც დიდის სურვილით, და გააკეთოს ის, რაც ამ ქვეყნებმა გააკეთეს — მოაწყოს უკეთესი ცხოვრება, ვიდრე იქ არის. სხვისი პატივისცემა ხელზე, ხშირად კი საჯდომზე კოცნაში არ უნდა გადადიოდეს.**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.

ინფორმაცია

## ელისო ჩაფიძემ შესაძლოა, კენჭი ტყიბულის მაჟორიტარულ ოლქში იყაროს



**ელისო ჩაფიძემ შესაძლოა, „ქართული ოცნების“ რიგებიდან კენჭი ტყიბულის მაჟორიტარულ ოლქში იყაროს. ამის შესაძლებლობა კოალიცია „ქართული ოცნების“ საინიციატივო ჯგუფის წევრმა ჟურნალისტებთან დღევანდელ შეხვედრაზე არ გამორიცხა.**

**„ვფიქრობ, ხომ არ ვიყარო კენჭი ჩემს მშობლიურ რაიონში, ტყიბულში, რასთან დაკავშირებითაც მოსახლეობის ძალიან დიდი მოთხოვნა მოდის. მიკავშირდებიან და გამოთქვამენ სურვილს, რომ ასეთი ნაბიჯი გადავდგა“, — განაცხადა ელისო ჩაფიძემ.**

**რაც შეეხება უშუალოდ პარტიულ სიაში მის ადგილს, ჩაფიძის განმარტებით, ამის შესახებ მას კოალიციის ლიდერთან შეკითხვები არ დაუსვამს.**

**„მე ვფიქრობ, რომ არჩევნებამდე 7 თვით ადრე ამ თემაზე ვაჭრობა ჩემი მხრიდან ძალიან უღირსი საქციელი იქნებოდა. მზად ვარ, ვიყო რიგითი თანამშრომელი იმ ბრძოლაში, რომლის განხორციელებასაც „ქართული ოცნება“ აპირებს“, — აღნიშნა ელისო ჩაფიძემ.**

**მისივე განმარტებით, პარტიაში ის მედიის თავისუფლების საკითხებსა და ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით იმუშავებს, რითაც გააგრძელებს იმ საქმიანობას, რასაც ბოლო 18 თვის განმავლობაში აკეთებდა.**

ინტერპრესი

შეგონება

# გია ნოდია – მედროვე ფილოსოფოსი

ამბობენ, ლენინმა საკუთარი კონცეფციების გასამართლებლად თავისებური ფილოსოფია გამოიგონაო. ზოგ მკვლევარს ეს მოვლენა უყურადღებოდ რჩება, ვინაიდან არასპეციალისტის თვალში ეს გამოგონილი ფილოსოფია ამ საგნის ერთ-ერთ განშტოებად აღიქმება, ხოლო გია ნოდიას გამოგონებული ფილოსოფია სააკაშვილის ყოვლად დასაგმობი საქმიანობის გამართლებას ემსახურება. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბატონი გია პოლემიკაში საკმაოდ ზრდილობიანია და არა ისეთი, როგორებიც არიან სააკაშვილის სხვა დამცველები – თავხედები, შუბლძარღვგაწყვეტილები, ჭეშმარიტების უარმყოფნი და ელემენტარული ლოგიკის უცოდინარნი. ამგვარ ადამიანებზე იტყვიან, შეაყარე კედელს ცერცვიო. ამიტომ მათი კრიტიკა, წყლის ნაყვაა და მეტი არაფერი.

ნოდიასთან საქმე სულ სხვაგვარად გვაქვს. უპირველესად მისი, ასე ვთქვათ, აპოლოგიური ფილოსოფია უნდა გამომზეურდეს და სათანადო შეფასება მიეცეს. ვფიქრობ, ჯანსაღი კრიტიკა მას კონცეფციების ჩამოყალიბებასა და დახვეწაში გამოადგება.

მეცნიერება მის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს ლოგიკურად და პრაქტიკულად ამტკიცებს, ხოლო ფილოსოფიას თავისი კონცეფციების გასამართლებლად მხოლოდ ურთულესი ლოგიკური კატეგორიები აქვს. მას არ მოეთხოვება ყველაფრის პრაქტიკულად დამტკიცება. თუმცა ვერც დაამტკიცებს. ამის ნათელი მაგალითია ანტინომიები.

რასაკვირველია, მეცნიერი და ფილოსოფოსი ელემენტარულ აქსიომურ ჭეშმარიტებას უნდა აცნობიერებდეს. ეს ჭეშმარიტებებია: ადამიანის ქცევის მამოძრავებელი ძალა გაცნობიერებული სინამდვილეა. და ჭეშმარიტებისაკენ მიმავალი გზა ნეგაციაზე გადის. ასე ვთქვათ, ეს მოთხოვნა ნებისმიერი ადამიანისთვის არის სავალდებულო. დამტკიცებულია, რომ ადამიანში გაადამიანების პროცესი მაშინ დაიწყო, როდესაც მასში ჭეშმარიტების გაცნობიერების სურვილი დაიბადა. მიჭირს ამის თქმა, მაგრამ, თუ ქართველ მეცნიერსა და ფილოსოფოსში ხსენებული პროცესი ჯერ კიდევ არ დაწყებულა, კარგად გვქონია საქმე, ასეთ ვითარებაში არც უნდა გაგვიკვირდეს სააკაშვილის ყოვლად დასაგმობი საქმიანობის გამართლება. ზოგჯერ, როდესაც მეცნიერს ან ფილოსოფოსს აკრიტიკებენ, ნირწამხდრები ბოლოს და ბოლოს აღიარებენ: ჩვენ არ ვართ პოლიტიკოსებიო. თქვე დალოცვილებო, თუ პოლიტიკოსები არ ბრძანდებით, რატომ გამოდიხართ და, ასე ვთქვათ, საზოგადოებას პოლიტიკურად მოძღვრავთ და ამა თუ იმ პოლიტიკოსის საქმიანობას განიხილავთ? საკვირველია, ღმერთმანი. ისე, ჩვენც კარგად მოგვეხსენება ის ჭეშმარიტება, თუ მეცნიერმა ან ფილოსოფოსმა თავისი ცოდნა არ გარდასახა, არ მიუსადაგა პოლიტიკას, პოლიტიკაში მისი ფასი უმნიშვნელოა. ნიუტონი დიდზე დიდი მეცნიერი და ფილოსოფოსი იყო, მაგრამ ინგლისის პარლამენტში მხოლოდ ეს თქვა: „დახურეთ ფანჯარა, ორპირი ქარია, გავცივდებიო“.

როგორც მე ვხვდები, ბატონი გია ეგრეთ წოდებულ ნაციონალისტებს (სინამდვილეში კი ანტინაციონალისტებს) პოლიტოლოგიის მამამთავრად, ფალავნად ჰყავთ წარმოდგენილი და დისკუსიებში როგორც მათი ლიდერი, ისე გამოდის.

ბატონი გია ბრძანებს: პრეზიდენტის შეცვლით საზოგადოების მენტალიტეტი არ იცვლება, დემოკრატია ხანგრძლივი პროცესიაო. სრულიად ვეთანხმები, მაგრამ პრეზიდენტის მმართველობის დროც ხომ განსაზღვრულია.

მე უფრო ყოვლისმომცველად ვიტყვი: პროცესებს უსასრულო ობიექტური ფაქტორები წარმართავენ. ინდივიდის ან ინდივიდთა ჯგუფის როლი პროცესების წარმართვაში ისე შეეფარდება ხსენებულ უსასრულო ფაქტორებს, როგორც სასრულო სიდიდე უსასრულოს.

ყოველგვარი ფილოსოფია დროებით განზე უნდა გადავდოთ, როდესაც საქმე აშკარა დანაშაულთან გვაქვს. გასულ წელს ნორვეგიელმა მოქალაქემ სრულიად უდანაშაულო 80 ახალგაზრდა ტყვიამფრქვევით დაცხრილა. სამართალდამცავებს ყოფნანი რომ დაეწყოთ და დროულად არ შეეპყროთ ეს მანიაკი, კიდევ მეტ ადამიანს დახოცავდა. მოვიყვანოთ ასეთი მაგალითი: საზოგადოებრივ ტრანსპორტს უცოდინარი ადამიანი მართავს. უპირველესად საჭიროა ასეთი მძღოლის საჭისაგან ჩამოშორება.

ახლა, ბატონ გიას ღიად დავუსვამ ასეთ კითხვებს: სააკაშვილი კანონიერი გზით მოვიდა ხელისუფლებაში? ყოველ არჩევნებს კატასტროფულად არ აყალბებს? შეიმუშავა თუ არა მან რეალობისთვის შესატყვისი სამოქმედო პროგრამა? დაყო თუ არა პრობლემები პირველ და მეორე რიგში გადასაწყვეტად? თუ დაყო, რატომ იმართება შოუები და ფესტივალები, რაზედაც ათეული მილიონობით დოლარი იხარჯება, მაშინ როდესაც ხალხი შიმშილობს?

აურაცხელი ფული იხარჯება სააკაშვილის გართობა-დროს ტარებაზე. საახალწლო ზეიმი ერთი თვით ადრე იწყება. სააკაშვილის განკარგულებით საზღვარგარეთიდან ძვირად ღირებული მომღერლები ჩამოჰყავთ, რომელთაც მილიონობით დოლარს უხდიან. ამ დროს კი საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი შიმშილობს. მრავალმა ახალგაზრდამ არ იცის ხორცის გემო. ხომ გაგვიგონია: მაძღარს მშიერიც მაძღარი ჰგონიაო. ფილოსოფიას და პოლიტიკასაც თავი დავანებოთ, თუ თქვენ არსში გაადამიანების პროცესი ოდნავ მაინც დაწყებულია, ვერ ხედავთ, საქართველოში რამდენი მშიერი დადის და რამდენი ლუკმაპურის საშოვნელად საზღვარგარეთ არის წასული?



საბჭოური პერიოდის პოლიტპატიმრების, ანუ ქვეყნის წინაშე განსაკუთრებული დამსახურების მქონე მოქალაქეების პენსია 55 ლარს არ აღემატება. სხვა რესპუბლიკებში კი ამგვარი კატეგორიის მოქალაქეების პენსია უმაღლესია. თუ თქვენ პატრიოტი ბრძანდებით, უახლესი წარსული ოდნავ მაინც გაქვთ გაცნობიერებული, ამ ფაქტის გამო რატომ არ იმაღლებთ ხმას?.

ხშირად თქვენც სიამაყით წარმოთქვამთ: სააკაშვილმა ბიუჯეტი გაზარდაო, მაგრამ არ კითხულობთ – რის ხარჯზე? – საქართველოს მოსახლეობის გაყვლეფის ხარჯზე.

– უცხოელებს მიეყიდებათ ქართული მიწები, ტყეები, მდინარეების აუზები. ამით ქართველებს უმცირდებათ სასიცოცხლო სივრცე. სააკაშვილი მოქმედებს პრინციპით: ჩემს შემდეგ ქვა ქვაზე დადუღებულაო. რაც მთავარია, ყიდის საქართველოს ინტერესებს. მან ისე დაამცირა ჩვენი ქვეყანა, რომ იგი გადააქცია რუსეთის მიმართ, უკაცრაული პასუხია, შემჩუჩხურებელ ინსტრუმენტად.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბატონო გია, თავს ცოტა უხერხულად არ გრძნობთ, როცა ისეთ ადამიანს აქებთ, რომელმაც მთელი ქვეყანა დაიმონა და ეროვნული შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს თავისი სახელის მსოფლიო მასშტაბით განსადიდებლად ხარჯავს. ნუთუ ვერ აცნობიერებთ, სააკაშვილი საზღვარგარეთის საზოგადოებას როგორ ატყუებს და დღევანდელ საქართველოს მიწიერ სამოთხედ წარმოუჩენს. სამწუხაროდ, სააკაშვილის მზაკვრობა და ფლიდობა საზღვარგარეთ ბევრს ვერ წარმოუდგენია და ყველაფერი მართალი ჰგონია. სწორედ აქედან მოდის სააკაშვილის მხარდაჭერა, რაც ყველას გასაკვირად ეჩვენება.

ბატონო გია, გვიპასუხეთ, რატომ გადაიტანა ნაზარბაევმა დედაქალაქი (ასტანა) ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში? – სააკაშვილი კი პირიქით მოიქცა – დედაქალაქი ქუთაისში გადააქვს. იცით თუ არა, რომ 1918 წელს არაკეთილმოსურნეთა მოთხოვნით დედაქალაქი ქუთაისში უნდა გადაეტანათ. იმჟამინდელი მთავრობა ამ დამღუპველ მოთხოვნას დაუპირისპირდა და გაიმარჯვა კიდეც. სააკაშვილი კი არაკეთილმოსურნეებს თბილისს უბრძოლველად უტოვებს. ამაზე თქვენ ხმა არ ამოგიღიათ, განგაშის ზარები არ შემოგიკრავთ. ალბათ, პირად ინტერესებს ეროვნულ ინტერესებზე წინ აყენებთ.

სააკაშვილს ან თქვენ პირადად ოდესმე დაგისახელებიათ ის ობიექტური მიზეზები, რამაც საყოველთაო კრიზისი გამოიწვია? რატომ დუმს თქვენი „ფილოსოფია“ სასამართლოების მიმართ სააკაშვილის დამოკიდებულებაზე? ან იმ საეჭვო ვითარებაში მომხდარ მკვლელობებზე (ჟვანიას ლიკვიდაცია და ახალგაზრდების დაცხრილვა ქუჩაში), რაზეც საზოგადოებას დღემდე დასაბუთებული პასუხი არ მიუღია.

რუსეთთან ომს მოქნილი პოლიტიკით თავიდან ავიცილებდით.

ტალიავინის კომისიაც სააკაშვილის მოქმედებას მიიჩნევს ომის დაწყების უშუალო საბაბად. დავუშვათ, ეს ასე არ არის, მაგრამ იმას მაინც ვერ უარყოფთ, რომ სააკაშვილი ავანტიურაში აჰყვა კრემლს. ეს ყოვლად დაუშვებელი იყო. ხომ ცნობილია: რკინისა და თიხის ქოთნების ერთად ზიდვა სახიფათოა და ყოველთვის თიხის ქოთნების მსხვრევით მთავრდება.

ნუთუ თქვენთვის ნათელი არ უნდა იყოს, რომ ურუსეთოდ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა შეუძლებელია. მეტიც, თუ მასთან ნორმალურ ურთიერთობას არ აღვადგენთ, შესაძლებელია, კიდევ დავკარგოთ ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი. სააკაშვილი კი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა რუსებთან კიდევ უფრო დაძაბოს ურთიერთობა და რეგიონში რუსეთთან დაპირისპირება შეინარჩუნოს, ხოლო ეს რა დაუჯდება ქვეყანას, ამაზე აღარ ფიქრობს.

რაც შეეხება არჩევნებს. სააკაშვილი უკვე აყალბებს. იყენებს ადმინისტრაციულ რესურსებს. ამომრჩევლებს შთააგონებს, რომ ყოველგვარი მშენებლობა, სოციალური დახმარებები ნაციონალური მოძრაობის დამსახურებაა. საარჩევნო შტაბები ეწყობა ბიბლიოთეკებში, ადმინისტრაციულ შენობებსა და სხვა დაწესებულებებში. რასაკვირველია, ყველაფერი ეს ნაციონალებს უფასოდ ეთმობათ, მაშინ როცა ოპოზიციურ პარტიებს ოფისების დაქირავება სოლიდური თანხა უჯდებათ. აღარაფერს ვამბობთ აგიტატორთა ბრიგადებზე, რომლებსაც ფულით და ათასგვარი ხრიკით სურთ ამომრჩევლის გადაბირება.

ნუთუ ვერ ამჩნევთ, ბატონო გია, რომ სააკაშვილი მოქმედებს გებელსის პრინციპით: თქვი დიდი ტყუილი, აქედან ხალხი მცირედს მაინც დაიჯერებს.

თქვენ სააკაშვილის, ასე ვთქვათ, იდეოლოგი ბრძანდებით, ამიტომ როცა ზემოაღნიშნული საკითხების გადაწყვეტისას პრეზიდენტმა და მისმა გარემოცვამ უუნარობა გამოამჟღავნეს, თქვენ ისინი უნდა გემხილებინათ. პირიქით კი მოხდა, მათ არასწორ მოქმედებებს „ფილოსოფიურად“ ამართლებთ.

საერთოდ, არსებობს სამი ძირითადი პოლიტიკური მიმდინარეობა – ლიბერალური, სოციალისტური და ეტატისტური. იმის განსაზღვრა, თუ რომელი შეესატყვისება მათგან დღევანდელობას, ესეც თქვენი მოვალეობაა, როგორც პოლიტოლოგისა. თქვენვე მოგეთხოვებათ უახლესი წარსულის (XX საუკუნის დასაწყისიდან) ცოდნა და ანალიზი; გაცნობიერებული წარსულის გათვალისწინება პრაქტიკაში. ერთხელ სააკაშვილმა დიდი რიხით წარმოთქვა, წითელ არმიას საქართველოში მახარაძე შემოუძღვაო. ამ დიდ სისულელეს არ გამოეხმაურეთ. დუმილი ხომ თანხმობის ნიშანია. თუმცა ზემოხსენებული პრობლემების მოგვარებაში წვლილს როგორ შეიტანთ, როცა ზედაპირზე მოლალადე ფაქტებს ვერ აცნობიერებთ და სააკაშვილის უმართებულო (რბილად ნათქვამია) პოლიტიკას ამართლებთ. ახალგაზრდებთან და ჟურნალისტებთან პოლემიკაში ცნებების გაბუნდოვნებით ტყუილს ჭეშმარიტებად წარმოაჩენთ, მაგრამ საღად მოაზროვნე ადამიანი თქვენს მტკიცებულებებში მრავალ შეცდომას აღმოაჩენს.

ცნობილია: ორგზის ნობელის პრემიის ლაურეატი ფიზიკოსის ნაშრომებში ახალგაზრდა მეცნიერებმა რამდენიმე შეცდომა აღმოაჩინეს. გამოჩენილმა მეცნიერმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. თქვენგან თავის მოკვლას არავინ მოითხოვს, მაგრამ ერთხელ მაინც (თუნდაც ამ სტატიის წაკითხვის შემდეგ) ღრმად ჩაუკვირდით სააკაშვილის პერსონას, თქვენს ურთიერთობას მასთან და... მოვლენებს სხვანაირად დაინახავთ. იქნებ გამოხვიდეთ საჯაროდ და ადრინდელი პრინციპები უარყოთ. ეს იქნება თქვენი სულიერი განწმენდისა და აზრობრივი გაჯანსაღების პროცესის დასაწყისი.

მე თქვენზე ასაკოვანი ვარ. გამოცდილებაც საკმაოდ მაქვს მიღებული. მთელი ჩემი ცხოვრება არალეგალურ მუშაობას შევწირე, რისთვისაც მრავალწლიანი სასჯელი მომეგო. მიუხედავად იმისა, დაბეჯითებით მთხოვდნენ სოლჟენიცინის სახელობის პრემია მიმეღო, სასტიკი უარი განვაცხადე – შოვინისტის პრემიას არ მივიღებ-მეთქი. შემდგომში ხუთ მეცნიერ-პოლიტპატიმართან ერთად იმ სიაშიც კი ჩამწერეს, რაც მომავალში მშვიდობის ნობელის პრემიაზე უნდა წარედგინათ. ასე რომ, ასეთი ცხოვრებაგამოვლილი ადამიანის რჩევას ზოგჯერ ყური უნდა დაუგდოთ.

რასაკვირველია, უხერხულად ვგრძნობ, როდესაც საკუთარ თავზე ვლაპარაკობ, მაგრამ რას იზამ, საქართველოში ბევრი გზასაცდენილი ადამიანია, იქნებ მათ ჩემი ცხოვრება მაგალითად გამოადგეთ და სწორ გზას დაადგნენ.

**ვაჟა ჟღენტი,**
საბჭოური პერიოდის საქართველოს
პოლიტპატიმართა გაერთიანების
თავმჯდომარე

ინფორმაცია

## საქართველომ აშშ-ში ქართული ღვინის ადგილწარმოშობის დასახელებების რეგისტრაციის პირველი ეტაპი დაასრულა

როგორც „ინტერპრესნიუსს“ „საქპატენტიდან“ აცნობეს, აშშ-ის საპატენტო და სასაქონლო ნიშნების უწყებამ საქართველოს სახელზე უკვე გასცა დამცავი დოკუმენტები 12 ქართული ღვინის დასახელებაზე. ესენია: „ხვანჭკარა“, „ქინძმარაული“, „წინანდალი“, „ახაშენი“, „ყვარელი“, „მანავი“, „თელიანი“, „გურჯაანი“, „კახური“, „მუკუზანი“, „ტვიში“, „ვაზისუბანი“.

ინტერპრესი



◉ ტკბილ-მწარე ფიქრები

# დაგვიბრუნეთ კორუფცია!



**ეს ნავსი აზრი მას შემდეგ გამიჩნდა, რაც ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა გამორჩეულმა ფიგურამ, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა პეტრე ცისკარიშვილმა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების პრაქტიკაში გამაოგნებელ ტენდენციას მიაგნო. ეს ისე, მოკრძალებულად რომ ვთქვათ, თორემ რეალურად მან ამ სფეროში გაუგონარი „აღმოჩენა“ გააკეთა. ცნობილი ეკონომისტები, ექსპერტები, პოლიტოლოგები და პოლიტიკოსები, წლების მანძილზე ტვინს რომ იჭყლეტდნენ იმის გასარკვევად, თუ რა ფაქტორები განაპირობებდნენ საქართველოში ნავთობპროდუქტების უსაშველოდ გაძვირებას, ბატონმა პეტრემ ამას უბრალო, ძალიან მარტივი და იოლი ახსნა მოუძებნა.**

— დღეს ოპოზიცია ხშირად აკრიტიკებს ხელისუფლებას, — თქვა პეტრე ცისკარიშვილმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, — იმის გამო, რომ საწვავზე ფასები მაღალია, მაგრამ იმას რატომღაც არ ითვალისწინებენ, რომ საქართველოში გადასახადების ადმინისტრირება ხდება და ეს გადასახადები მიდის არა ჯიბეში, არამედ — ბიუჯეტში. შემდგომში სწორედ ამ ბიუჯეტიდან ფინანსდება არაერთი სოციალური პროგრამა და ისევ მოსახლეობას ხმარდება. ევროპაში გადასახადები უფრო ძვირია და ამიტომ საწვავიც, **საქართველოსთან შედარებით, ძვირია. საქართველოში საწვავი უფრო იაფი რომ იყოს, მაშინ უნდა იყოს კორუფციაც** — დასძინა ცისკარიშვილმა.

ა, ბატონო, ყველაფერი დღესავით ნათელია. ნაადრევად რომ ავითვალისწინეთ კორუფცია და ქვეყნიდან სულ ჭიტლაყისცემით გავაძევეთ, შედეგად საწვავზე ცეცხლმოკიდებული ფასები მივიღეთ. საწვავზე ფასების ზრდა კი ისეთი ავადმყოფობაა, რომელიც სხვა პროდუქტების გაძვირებაზეც ეპიდემიასავით ვრცელდება. არადა, ყველას გვახსოვს, თავის დროზე როგორი გამეხებითა და დაუნდობლობით უტევდა მიხეილ სააკაშვილი კორუფციას, რომელმაც ისე მოულოდნელად განუტევა სული, რომ ქვეყნის თავკაცმა მასთან კაცურად დამშვიდობებაც კი ვერ მოასწრო(!).

მაგრამ ეს ჩვენი პოლიტიკანი ოპონენტები პრეზიდენტს კორუფციის განდევნით გამოწვეულ ტკბობას რომ არ აცლიან? კარგად გვახსოვს, ამ ერთი წლის წინათ, პარლამენტში ანგარიშით გამოსული მიხეილ სააკაშვილი როგორ გაანერვიულა ვინმე დეპუტატ ჩახვაძის მიერ უადგილოდ ნახსენებმა „ელიტურმა კორუფციამ“, რასაც მუდამ დინჯი და აუღელვებელი პრეზიდენტის მძაფრი რეაქცია მოჰყვა. ამას დაემატა საპარლამენტო უმცირესობის ლიდერის გიორგი თარგამაძის გამოსვლა, რომელმაც ცეცხლზე ნავთი დაასხა, თქვა, რომ საქართველოში კორუფცია არ მომკვდარა, კვალავაც ცოცხალია, თავს ჯანმრთელად გრძნობს და ისეთ მაღაზეა, ლამის ქვეყანა გადაჭამოსო. მერე ისიც იკადრა — კორუფცია თავს ასე მშვიდად და ჯანმრთელად იმიტომ გრძნობს, ბატონო პრეზიდენტო, მას პირადად თქვენ რომ მფარველობთო!!!

ჰოდა, რა გასაკვირია თუ ასეთი უცერემონიო განცხადების შემდეგ მიხეილ სააკაშვილი იძულებულია, სადაც არ უნდა გამოდიოდეს, პარლამენტი იქნება ეს, სათხილამურო ტრასის, სასტუმროს, საბავშვო ბაღისა თუ საავადმყოფოს გახსნა, პირმოუღლელად უმტკიცოს თვინიერ მსმენელს, რომ კორუფცია ქვეყნის სათავეში ნაცების მოსვლისთანავე სამუდამოდ აითესა და მეზობელ ქვეყნებში (უფრო მეტად რუსეთში) გადაიხვეწა. მაგრამ რად გინდა, შეაყარე კედელს ცერცვი, ვისაც არ სურს იგრძნოს ნაცების მიერ აშენებული ახალი ცხოვრების სიკეთე (ასეთებს პრეზიდენტი წარსულის მონებს უწოდებს), ისინი ვერც უკორუფციობით გამოწვეულ კეთილდღეობას იგრძნობენ.

რაღა შორს წავიდეთ, ამის დასტური იყო თუნდაც შარშან გაზაფხულზე რუსთაველის მეტროსთან მოწყობილი „მხილების მუზეუმი“, რომელშიც გამოფენილი იყო კორუფციაში გასვრილი ქვეყნის ბობოლა ჩინოვნიკების — **ვანო მერაბიშვილის, დავით ბაქრაძის, ძმები კუბლაშვილებისა და ბეჟუაშვილების, თავად პეტრე ცისკარიშვილის და სხვათა არმად ნაგები სრასახლების სურათები.**

ხალხს რას გამოაპარებ, უმტკიცე რამდენიც გინდა, კორუფცია საქართველოდან რუსეთში გაიპარაო, მას რატომღაც ჰგონია, რომ ის არსადაც არ გაპარულა და დღესაც ხელისუფალთა კაბინეტებსა და ვილებში უზრუნველად დააბიჯებს. სწორედ ამის თქმა სურდა და ღიად, საჯაროდ უთხრა კიდეც პარლამენტარმა გია ცაგარეიშვილმა სააკაშვილს, როცა მას საკანონმდებლო ორგანოში მოხსენებით გამოსულს, მთავრობის წევრთა დანაშაულებრივი გაუმაძღრობის მამხილებელი ფოტოები ცხვირწინ აუფრიალა.

უფრო მოკრძალებულია ლეიბორისტი გიორგი გუგავა, რომელიც ფიქრობს, რომ **„საქართველოში საწვავის ფასების კატასტროფული ზრდა გამოწვეულია ალიევ-სააკაშვილის საოჯახო ბიზნესინტერესებით, რომლებიც არიან ქვეყანაში საწვავის მთავარი მონოპოლისტი კომპანიის „სოკარის“ მეპატრონეები და ჩვენი გაჭირვებული მოსახლეობის ხარჯზე ყოველდღიურად მრავალი მილიონით ავსებენ პირად ანგარიშებს“. გუგავას თქმით, კომპანია „სოკარ-ჯორჯიას“ 51 პროცენტს ფლობს აზერბაიჯანის მხარე, ხოლო 49 პროცენტს — სააკაშვილის ოჯახი. თუ ამას დავუმატებთ იმასაც, რომ „ვისოლი“ ფაქტობრივად არის მიხეილ სააკაშვილის ძმის კომპანია, აშკარაა, ეს კომპანიები საქართველოში მთლიანად განსაზღვრავენ საწვავის ბაზრის კონიუნქტურას. არადა, სწორედ საწვავზე ფასების სისატემატური ზრდა ანგრევს სოფლის მეურნეობას, მცირე და საშუალო ბიზნესს, რიგითი ადამიანების კეთილდღეობას, მთლიანად ქვეყნის ეკონომიკას, რომელსაც ხელისუფლება ასე „მდგრადად“ ანვითარებს.**

თუმცა, მას შემდგე, რაც პეტრე ცისკარიშვილმა კორუფციოლოგიაში დღემდე უცხოელთათვის მიუწვდომელი „აღმოჩენა“ გააკეთა, ქართველ ოპოზიციონერთა მტკიცებულებანი იმის თაობაზე, რომ საქართველოში კორუფცია ყაყაჩოსავით მოდებულია, მთლიანად თავდაყირა დააყენა. საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა ისეთი არგუმენტი დაუპირისპირა ოპონენტებს (აბა როგორ, ტყუილად ხომ არ ჰქვია ლიდერი!), რომ წვეთი არ გავარდება. ლოგიკა, რომელსაც ქვეყნის პატრიოტი ნაციონალი ეყრდნობა, ფოლადივით უდრეკია: **თავად განსაჯეთ, საქართველოში კორუფცია რომ იყოს, საწვავს არც ასეთი ცეცხლის ფასი ედებოდა. რადგან, საწვავი ძვირია (კიდევ კარგი), ესე იგი ქვეყანაში კორუფცია ძირფესვიანად ლიკვიდირებულია(!).**

ავიღოთ, მაგალითად, ჩვენი მეზობელი სომხეთი. რატომ არის, რომ სომხეთში, სადაც საწვავი საქართველოზე გავლით შედის, ნავთობპროდექტები უფრო იაფია, ვიდრე ჩვენთან. იმიტომ, რომ იქ კორუფცია ყვავის, ჩვენთან კი ამოძირკულია. ცისკარიშვილი ამას, რა თქმა უნდა, სომეხ ძმებს პირში არ ახლის (განაწყენებას ერიდება) და შემოვლითი ფანდით ელაციცება. აბა, დააკვირდით, ამბობს ის, სომხეთში არც ისეთი სერვისი და მომსახურებაა, როგორიც საქართველოში, ამიტომ, ბუნებრივია, იქ საწვავის ფასებიც, შესაბამისად, დაბალაიო.

სომხები საკუთარ კორუფციას როგორღაც თავადვე მოუვლიან, მაგრამ რა გვეშველება ჩვენ, თუ დამარცხებული და ქვეყნიდან გაძევებული კორუფცია ისევ უკან მოსაბრუნებელი გაგვიხდა? საქმე ის გახლავთ, რომ ცისკარიშვილისეული დამაჯერებელი „აღმოჩენის“ შემდეგაც კი გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც ეჭვის თვალით შეხედეს კორუფციის დამარცხების მომგებიანობას. ისინი ასე სვამენ კითხვას: ვერ გამიგია ცხოვრება რითი გააუმჯობესა კორუფციის დამარცხებამ, თუ ჩვენთვის ყველაფერი გაძვირდა, კომუნალური გადასახადებით დაწყებული და საწვავით დამთავრებული? ხომ არა სჯობს, გვქონდეს კორუფცია და მაძღრები ვიყოთ, ვიდრე უკორუფციობამ შიმშილით ამოგვწყვიტოსო?

როგორც ჩანს, ამ კითხვებზე პასუხის გაცემა უკვე გაღმა მიმავალ მიშნაცების მთავრობას კი არა, ოქტომბრის არჩევნებით მოსულ ახალ ხელისუფლებას მოუწევს.

**ოთარ ხუციშვილი**

◉ რეიტინგი

# ჯერჯერობით რეგიონის ლიდერის სტატუსით...

**ეკონომიკური უსაფრთხოების მხრივ საქართველო საშუალო დონის მქონე ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება.**

ეს დასკვნა ამერიკის შეერთებული შტატების იელის უნივერსიტეტის მკვლევართა ჯგუფის მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგებშია მოცემული, რომელიც მეცნიერებმა ეკოლოგიური უზრუნველყოფის თავთიანთ რეიტინგში (EPI Rank) გამოაქვეყნეს. აღსანიშნავია, რომ საქართველო მხოლოდ ერთი საფეხურით ჩამორჩა იმ ქვეყნების რიცხვს, სადაც, ამერიკელ სპეციალისტთა აზრით, ეკოლოგიური უსაფრთხოების დონე შეფასებულია როგორც „მაღალი“. ამასთან, საგულისხმოა ისიც, რომ ქვეყანაში გარემოს დაცვასთან დაკავშირებით არსებული საკმაოდ არასახარბიელო მდგომარეობისა, რომლის გამოსწორებას, ექსპერტთა აზრით, კანონმდებლობაში ახლახან შეტანილი ცვლილებები ნამდვილად



ხელს არ შეუწყობს, იელის უნივერსიტეტის კვლევის შედეგებში მითითებულია, რომ საქართველო ამ მხრივ სამხრეთ კავკასიის რეგიონის ლიდერია.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ეკოლოგიური უსაფრთხოების „მაღალი დონის“ მქონე ქვეყნების სიის „ჩამკეტ“ ურუგვაის საქართველო მხოლოდ 0,22 ქულით ჩამორჩა. მთლიანად რეგიონში კი, იელის უნივერსიტეტის რეიტინგის მიხედვით, ეკოლოგიური უსაფრთხოების დონის მიხედვით ადგილები ასე განაწილდა: საქართველო — 47-ე ადგილი, სომხეთი — 93-ე ადგილი, აზერბაიჯანი — 111-ე ადგილი.

კიდევ ერთი საყურადღებო გარემოება, რომელიც ამერიკელ მკვლევართა ნაშრომებში ჩვენს ინტერესს იწვევს, ისაა, რომ სამხრეთ კავკასიაში ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში სხვებზე მეტ ძალისხმევას აზერბაიჯანი იჩენს, რომელიც რეიტინგში 132 ქვეყანას შორის სულაც მე-2 პოზიციაზეა. ამ სიის აშკარა აუტსაიდერია რუსეთი (132-ე ადგილი), ხოლო საქართველოს შუალედური 68-ე ადგილი უკავია.

უნდა ითქვას, რომ მსოფლიოში საკვების მზარდი უკმარისობის, სასმელი წყლის დეფიციტის ზრდის, ტყეთა გაჩეხვისა და უდაბნოს შემოტევის პირობებში, რომელიც ყოველწლიურად ათასობით კვადრატულ კილომეტრ მანამდე ვარგის მიწას იკავებს, ეკოლოგიური უსაფრთხოების დონის ამაღლებას ყველა ქვეყნისათვის, მათ შორის, ცხადია, საქართველოსთვისაც, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

**ირმა ირემაშვილი**

◉ ინფორმაცია

**რასობრივი, სექსუალური თუ პოლიტიკური შეხედულებების მოტივით ჩადენილი ნებისმიერი დანაშაულისთვის პასუხისმგებლობა გამკაცრდა**

**პარლამენტმა „სისხლის სამართლის კოდექსში“ შესაბამისი ცვლილება მესამე მოსმენით დაამტკიცა. პარლამენტის გადაწყვეტილებით, დანაშაულის ჩადენა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, შეზღუდული შესაძლებლობების, მოქალაქეობის, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა მადისკრიმინირებელი ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, ყველა სისხლის სამართლებრივი დანაშაულისთვის, პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება იქნება.**

**დამამძიმებელი გარემოებების ჩამონათვალი კანონპროექტის განხილვის პროცესში გაიზარდა. პროექტის პირვანდელი ვარიანტით, დამამძიმებელ გარემოებებში შედიოდა მხოლოდ დანაშაულის ჩადენა რასობრივი, ენობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობით.**

**არასამთავრობო სექტორის შენიშვნების გათვალისწინებით კი, პარლამენტმა ჩამონათვლის კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანის და მათი გაზრდის გადაწყვეტილება მიიღო.**

ინტერპრესი

რას წერენ ჩვენზე

# მარინა სალიეს „კომპრომატი პუტინზე“, მისი სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნდა

რუსეთში ცნობილი პოლიტიკოსი და ვლადიმერ პუტინის მოწინააღდეგე მარინა სალიე, რომელიც რამდენიმე დღის წინათ დაკრძალეს, სიკვდილის შემდეგაც დისკომფორტს უქმნის რუსეთის ახალ პრეზიდენტს. სალიეს მეგობრებმა Facebook-ზე ის სკანდალური დოკუმენტები გამოაქვეყნეს, რომლებიც ვლადიმერ პუტინის „დიდ აფიორაში“ მონაწილეობაზე მეტყველებდნენ. აღნიშნული აფიორა, თავის დროზე, პუტინის სანქტ-პეტერბურგის მერიაში მუშაობისას, სწორედ სალიეს ხელმძღვანელობით შექმნილმა საგამოძიებო კომისიამ გამოააშკარავა და ვლადიმერ ვლადიმეროვიჩის მიმართ გამოძიების დაწყებაც მოითხოვა, თუმცა პეტერბურგის მაშინდელი მერის ანატოლი სობჩაკის მეგობარ პუტინს არათუ პასუხი მოსთხოვეს, არამედ დააწინაურეს კიდეც.



გამოქვეყნებული დოკუმენტები მეტყველებს, რომ სანქტ-პეტერბურგის მერიის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ხელმძღვანელი ვლადიმერ პუტინი დიდი კორუფციისა და ფინანსური მაქინაციების მთავარი გმირი იყო. ამის შესახებ მარინა სალიემ სიცოცხლეში არაერთხელ განაცხადა, თუმცა დოკუმენტური მასალა, რომელიც მას ჰქონდა, საჯარო არასოდეს ყოფილა. სანქტ-პეტერბურგის მერიის ყოფილი ჩინოვნიკების დანაშაულებრივი მიმოწერა და ხელმოწერები მანამდე მხოლოდ რადიო „თავისუფლების“ ჟურნალისტებს ჰქონდათ ნანახი. დოკუმენტებიდან ჩანს, რომ პუტინსა და მის მოადგილეს ალექსანდრ ანიკინს რუსეთიდან გაჰქონდათ განსაკუთრებით დიდი ოდენობის ნედლეული: 750 000 კუბური მეტრი ხეტყე, 150 000 ტონა ნავთობპროდუქტები, 14 ტონა იშვიათი ლითონი...

ამ დოკუმენტებიდან ასევე, ჩანს, როგორ და ვის სთხოვდა სალიე, დასმულიყო ვლადიმერ პუტინის პასუხისმგებლობის საკითხი, თუმცა პუტინმა „მწვანე გზაზე“ სიარული შეძლო, სალიე კი, რომელიც არასოდეს უშვებდა შანსს ხელიდან, ემხილა ანტიკორუფციონერისა და დემოკრატის ნიღაბში გადაცმული „ჩეკისტი“, ბევრი წლების შემდეგ, იძულებული გახდა ერთ მიყრუებულ სოფელში გადასულიყო საცხოვრებლად, რათა საკუთარი უსაფრთხოება უზრუნველეყო. მარინა სალიეს მიერ გამოვლენილი პუტინის კორუფციული სქემის შესახებ პრესა.ჯი ცოტა ხნის წინათ წერდა. მამხილებელი დოკუმენტები კი, რომლებსაც სალიე რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ინახავდა, გამოქვეყნებულია http://www.facebook.com/media/set/?set=a.384728321551803.94156.273762169315086&type=1

**თეა ინასარიძე**

# „გაზპრომის“ და პუტინის მაქინაციები...

პუტინი „მზად არის“ „გაზპრომის“ მონოპოლიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ საკმაოდ მსუბუქად, ყოველგვარი სერიოზული დანაკარგების გარეშე. ვერ ვიტყვით, რამდენად შეიძლება ამ ყოველივეს „ბრძოლა“ ვუწოდოთ, უბრალოდ ერთგვარ თამაშად კი ნამდვილად შეგვიძლია შევაფასოთ. ასეთი მაქინაციებით რუსეთის მომავალი პრეზიდენტი ნამდვილად გამოირჩევა, წერს დასავლური პრესა.

გასულ პარასკევს, გარკვეული შეხვედრების ფარგლებში, „გაზპრომის“ წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ბუნებრივ აირზე ფასების მატებაა შესაძლებელი. თუმცა რუსეთის ხელისუფლება საზოგადოებას ამშვიდებს და აღნიშნავს, რომ ფასების ზრდას აუცილებლად გააკონტროლებს და ეცდება, ეს ყოველივე დადგენილ ფარგლებს არ გასცდეს.

როგორც ცნობილი გახდა, მიმდინარე წლის ივლისში საწვავზე ფასები 15 პროცენტით გაიზრდება, ეს ყველაფერი „გაზპრომის“ მოთხოვნით, ხოლო ინდუსტრიული ორგანიზაციებისთვის 26,3 პროცენტით. რა თქმა უნდა, ეს არ არის სახარბიელო სიტუაცია და შესაძლოა, ასეთმა სიტუაციამ დიდი უსიამოვნებაც გამოიწვიოს, მაგრამ პუტინი, რეაგირების ნაცვლად, მხოლოდ დაპირებებით შემოიფარგლება.

„ჩვენ კარგად ვხვდებით არსებულ სიტუაციას და გვესმის მისი სირთულეც. უბრალოდ, რეზერვების ძიება ტარიფების მომატებაში კი არა, არსებული საწვავის სწორად განაწილებაშია აუცილებელი. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ ჩვენ იმასთან შედარებით, რაც შარშან დავგეგმეთ, განსაკუთრებულს არაფერს ვაპირებთ“, – აღნიშნა რუსეთის პრემიერ-მინისტრმა.

მისივე განცხადებით, ფასები იმდენად უმნიშვნელოდ მოიმატებს, რომ განსაკუთრებული უკმაყოფილების გამოხატვა არ არის საჭირო. ეს



ყველაფერი საფუძველს მოკლებული მხოლოდ იმ შემთხვევაში არ იქნება, თუ მატება დადგენილ ჩარჩოებს გასცდება.

ექსპერტები კი აღნიშნავენ, რომ სერიოზული რეაგირება სრულებით მიუღებელია, რადგან პროექტისა და ინიციატივის წარდგენის უფლება ნებისმიერ ორგანიზაციას აქვს, მაგრამ მათ ავიწყდებათ, რომ „ნებისმიერ ორგანიზაციაში“ „გაზპრომის“ გაერთიანება არ შეიძლება. წამოყენებული ინიციატივა გარკვეულ საშიშროებას ნამდვილად შეიცავს, პუტინის დაპირებების სერიოზულად მიღება კი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება.

**ანანო კვაჭანტირაძე**

# საქართველოსა და სომხეთში ბენზინის ფასებს შორის სხვაობას სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს

**საქართველოში ნავთობპროდუქტების ღირებულება საკმაოდ მაღალია**. ერთი და იმავე ოქტანობის ბენზინის ღირებულება საქართველოსა და სომხეთში საკმაოდ განსხვავებულია. როგორც ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა და იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარე **ვანო მთვრალაშვილი** განმარტავს, ფასთა სხვაობას სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს.

**– ბოლო პერიოდში ხშირად ისმის კითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არის სომხეთში საწვავი იაფი, ვიდრე საქართველოში?**

– 2012 წლის დასაწყისიდან სომხეთში ბენზინის ფასი უკვე ოთხჯერ გაიზარდა. ფასწარმოქმნის პროცესზე სხვადასხვა ფაქტორი ახდენს გავლენას. სომხეთში პროდუქცია რუსეთიდან, ირანიდან სერიოზული ფასდაკლებით შედის, საერთაშორისო ფასთან შედარებით. მნიშვნელოვანია ასევე ადმინისტრირების საკითხი. საქართველოში დღეისთვის ადგილობრივ ბაზარზე საერთოდ არ იყიდება აღურიცხავი კონტრაბანდული საწვავი. არ ხდება პროდუქციის ფალსიფიკაცია. საწვავის თითოეული რეალიზებული ლიტრი დეკლარირებულია და, შესაბამისად, ყველანაირი სახელმწიფო გადასახადი გადახდილია. სომხეთში კი სიტუაცია განსხვავებულია. თუნდაც მოვიყვანოთ novostinkru-ზე გამოქვეყნებული სტატია, სადაც საუბარია, რომ სომხეთში უხარისხო ბენზინი იყიდება, ავტოგასამართსადგურებზე ხდება ბენზინის განზავება ირანიდან შემოტანილი გაურკვეველი წარმოშობის სითხით. სტატიაში ცალსახადაა აღნიშნული, რომ სწორედ ესაა მიზეზი იმისა, რომ სომხეთში საწვავის ფასი საქართველოსთან შედარებით იაფია. თუმცა აქვე აღნიშნავენ, რომ საქართველოში რეალიზებული საწვავის ხარისხი გაცილებით უკეთესია. აქვე შედარებისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ საწვავის იმპორტის სტატისტიკა. 2011 წელს სომხეთში იმპორტირებულ იქნა 358 ათასი ტონა ბენზინი და დიზელის საწვავი, მაშინ, როცა საქართველოში იმპორტმა შეადგინა 780 ათასი ტონა. შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტში სომხეთში შარშან შევიდა 100 მლნ ლარამდე, ხოლო საქართველოში – 450 მლნ ლარამდე. ამ სტატისტიკური მონაცემებზე დასკვნების გაკეთებას არ ვაპირებთ და ეს თქვენი მკითხველისთვის მიგვინდია.



**– არის თუ არა ფასთა შორის სხვაობა დაკავშირებული ავტოგასამართისადგურების ინფრასტრუქტურასთან ან საგადასახადო კანონმდებლობასთან?**

– რასაკვირველია, მნიშვნელოვანია ავტოგასამართისადგურების ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხი. დღეისათვის საქართველოში ავტოგასამართისადგურების ინფრასტრუქტურა და მასთან არსებული სერვისი, შეიძლება ითქვას, დასავლეთ ევროპულ მოთხოვნებს აკმაყოფილებს, რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით სომხურ ავტოგასამართსადგურებზე. უნდა გამოიყოს საგადასახადო კანონმდებლობის საკითხიც. სომხეთში მნიშვნელოვნად ნაკლებია საწვავის იმპორტზე გადასახადი საქართველოსთან შედარებით, განსაკუთრებით კი დიზელის საწვავზე. თუ ყველა ამ კომპონენტს გავითვალისწინებთ, მივალთ დასკვნამდე, რომ საქართველოში არსებული ფასი საერთაშორისო ფასის ტენდენციების, პროდუქციის ხარისხის, მომსახურების სერვისისა და სხვა კომპონენტების გათვალისწინებით, სამართლიანია.

## დედამიწის ზურგზე



**ლატვიის სპეცსამსახურებმა აღმოაჩინეს ქვეყნისთვის საშიში რუსეთის „ფარული“ მიზნები**

ლატვიის კონსტიტუციის დაცვის ბიურომ გამოაქვეყნა ანგარიში, რომელშიც ბრალი ედება რუსეთს ლატვიის სახელმწიფოს დისკრედიტაციის მცდელობაში: მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ეწევიან პროპაგანდისტულ საქმიანობას, ბრალს სდებენ ლატვიას „ისტორიის გადაწერასა“ და „ფაშიზმის აღორძინებაში“. რუს თანამემამულეებს მოსკოვი იყენებს ევროკავშირში რუსული ენის სტატუსის გამყარებისთვის.

* * *

**რესპუბლიკელებმა მისწერეს ობამას რუსული საფრთხის შესახებ, რომნიმ კი მედვედევის კრიტიკას ანტირუსული სტატიით უპასუხა**




სენატორებმა რესპუბლიკური პარტიიდან უარი განაცხადეს მხარი დაუჭირონ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის მშენებლობის ნებისმიერ შეზღუდვას, თუ გადაწყვეტილებას ამის შესახებ მიიღებს ბარაკ ობამას ადმინისტრაცია. აგრძელებს ანტირუსულ პროპაგანდას ობამას მთავარი მეტოქე არჩევნებში მიტ რომნი: ის გამოვიდა მორიგი თავდასხმებით, ბრალი დასდო პრეზიდენტს სისუსტის დემონსტრაციაში.

* * *

**თავიდან იქნა აცილებული ტერორისტული აქტი ავღანეთის თავდაცვის სამინისტროს შენობაში: იქ აღმოაჩინეს თვითმკვლელთა 11 სარტყელი**



ტერორისტული აქტის მომზადებაში ეჭვმიტანილი 18 ავღანელი სამხედრო მოსამსახურე დააპატიმრეს. შეთქმულები აპირებდნენ აგრეთვე აეფეთქებინათ რამდენიმე ავტობუსი, რომლებითაც სარგებლობენ მთავრობის თანამშრომლები. თვითმკვლელების სარტყელები აღმოაჩინეს შენობის დაცვის თანამშრომელთა შენობებში, რომლებიც ავტოსადგომიდან დიდად არ არიან დაშორებული.

* * *

**ყირიმში ყინულებში გაიჩხირა 100-მდე დელფინი**

ცხოველები აღმოჩნდნენ ტყვეობაში ზღვის ნაპირსა და ყინულების ვიწრო ყინულღრუში, რომლის სიგრძე 200 მეტრი და სიგანე 60 მეტრია, სოფელ ნოვოოტრადნოეს მიდამოებში. ცხოველთა გადასარჩენად საჭიროა სპეციალური ტექნიკა. შემთხვევის ადგილზე 28 მარტს ჩავიდა უკრაინის ეკოლოგიისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი.



**გამოვიდა**

# საზღვარგარეთ გამოქვეყნებული წიგნი ქართველ მკვლევარზე

**ყოვლისმომცველმა** და ყოვლისმცოდნე „ინტერნეტმა" ფრიად სასიხარულო ამბავი „გაგვიმხილა": მიმდინარე წლის დასაწყისში მავრიკიაში (გავიხსენოთ, აფრიკის



ახლოს მდებარე „კუნძულური" სახელმწიფოა) არსებულმა გამომცემლობამ „პატო პაბლიშინგმა" ინგლისურ ენაზე დასტამბა წიგნი ცნობილი ქართველი მეცნიერ-ეკონომისტის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრის ვლადიმერ (ლადო) პაპავას შესახებ.

წიგნი საცნობარო-ენციკლოპედიური ხასიათისაა და შედგენილია ნოელია პენელოპე გრეერის მიერ. ნაშრომი დაიბეჭდა აშშ-ში, დიდ ბრიტანეთსა და გერმანიაში.

აქ თავმოყრილია „ინტერნეტში" განთავსებული საერთაშორისო თავისუფალი ენციკლოპედიის „ვიკიპედიას" ინგლისურენოვან ვერსიაში გადმოცემული სტატიები. წიგნი იწყება პროფესორ ლადო პაპავას ბიოგრაფიითა და გამოქვეყნებული ძირითადი სამეცნიერო შრომების სიით (ბიბლიოგრაფიით) და „ვიკიპედიასვე" მოწოდებული იმ სტატიებით გრძელდება, რომლებიც ფიგურანტის ბიოგრაფიას უკავშირდება.

მრავალრიცხოვან მკითხველს ნაშრომი აწვდის საგულისხმო




რო ინფორმაციას ქართველი პროფესორის ცხოვრების სხვადასხვა ეტაპისა და სამეცნიერო მოღვაწეობის ძირითადი შედეგების თაობაზე.

სახელგანთქმულ ჩვენს მეცნიერზე საზღვარგარეთ არაერთი წიგნია გამოსული, აი საერთაშორისო თავისუფალი გამომცემლობის „ვიკიპედიას" ხაზით კი ასეთი რამ ეგების სულაც პირველი იყოს...

სასიამოვნო საბაბი მოგვეცა ვლადიმერ პაპავასთან სასაუბროდ.

**— ბატონო ლადო, როგორ შეიტყვეთ ეს კარგი ამბავი?**

— სრულიად შემთხვევით — „ინტერნეტში" ერთ ჩემს ადრეულ სტატიას ვეძებდი და ჩემზე წიგნს კი გადავაწყდი, რამაც, გამოგიტყდებით, გამაკვირვა; როგორც ჩანს, ამნაირი ნაშრომები ადრესატებთან შეუთანხმებლად იწერება და ნამდვილად ვერ გეტყვით, თუ რა ნიშნით შემარჩიეს.

**— ნაშრომი ახლახან ყოფილა დასტამბული. უკვე ხელთა გაქვთ?**

— 2012 წლითაა დათარიღებული. „ინტერნეტში" მოჩხრეკილი წიგნი ლონდონიდან გამოვიწერე და მივიღე კიდევაც.

**— ქართული მედია არ გამოხმაურებია ასეთ ღირსსახსოვარ ამბავს?**

— არა, თქვენი გაზეთი იქნება პირველი.

**თამაზ ეზანოიძე**

**ინფორმაცია**

## ნიკა რურუა მოზარდმაყურებელთა თეატრიდან 40 თანამშრომლის გათავისუფლების შესახებ ინფორმაციას არ ფლობს

**კულტურის** მინისტრი ნიკა რურუა ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრიდან 40 თანამშრომლის გათავისუფლების შესახებ ინფორმაციას არ ფლობს.

ამასთან, როგორც ჟურნალისტებს მთავრობის დღევანდელი სხდომის დაწყებამდე კულტურის მინისტრმა განუცხადა, თუ რაიმე კანონდარღვევა ხდება, ამისათვის სასამართლო არსებობს.



„ასეთ გადაწყვეტილებას თეატრის დირექტორი იღებს, მას უფლება აქვს, რომ ეს გააკეთოს", — განაცხადა ნიკა რურუამ,

ნოდარ დუმბაძის სახელობის თეატრში 40 თანამშრომლის გათავისუფლებას ადასტურებენ. თეატრში განმარტავენ, რომ ეს რეორგანიზაციის ფარგლებში მოხდა, თუმცა მსახიობთა ნაწილი ამბობს, რომ ეს ფაქტი ფონდ „ქართუსთან" მათ ურთიერთობას უკავშირდება.

## გამოცდებზე მთავარი უცხო ენა ინგლისური გახდა

**გამოცდებზე** მთავარი უცხო ენა ინგლისური გახდა. საქართველოს განათლების სამინისტროს ინფორმაციით, 2012 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩასაბარებელ უცხო ენად ინგლისური ენა აბიტურიენტთა 73%-მა აირჩია, ხოლო რუსული ენა მხოლოდ 17%-მა, 7%-მა არჩევანი გერმანულ ენაზე, 3%-მა კი, ფრანგულ ენაზე გააკეთა.

„ეს უნიკალური და უმნიშვნელოვანესი შედეგი იმ რეფორმებითაა განპირობებული, რომელიც განათლების სისტემაში ტარდება. სულ რაღაც ორი წლის წინათ ინგლისური ენა აბიტურიენტთა მხოლოდ 45%-მა აირჩია, ასევე 45%-მა არჩევანი რუსულ ენაზე გააკეთა და თანაფარდობა ერთი ერთზე იყო. ინგლისური ენის პოპულარიზაციის კუთხით ესოდენ დიდი წარმატება პირველ რიგში გამოიწვია პროგრამამ „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად", — აცხადებენ განათლების სამინისტროში.

## ბათუმში მიკროავტობუსების რიცხვის შემცირება იგეგმება

**ბათუმში** მიკროავტობუსების რიცხვის შემცირება და, შესაბამისად, მუნიციპალური ტრანსპორტის რაოდენობის გაზრდა იგეგმება.

როგორც „ინტერპრესნიუსის" კორესპონდენტი ბათუმიდან იუწყება, ამ რეგულაციის ინიციატორია ბათუმის მერია, საკითხს კი, საკრებულოს სხდომა უახლოეს დღეებში განიხილავს.

„ინტერპრესნიუსთან" საუბრისას საკრებულოს წევრი ირაკლი ჩავლეიშვილი აცხადებს, რომ სამარშრუტო ხაზები დიდ კონკურენციას უწევს მუნიციპალურ ტრანსპორტს, რის გამოც ე.წ. ყვითელი ავტობუსები წაგებაზე მუშაობენ.

„მსგავსი რეგულაცია სამარშრუტო ხაზების შემცირებაზე ორი წლის წინათ წინასაარჩევნო პერიოდში ჩაატარეს, თუმცა ამას დიდი პროტესტი მოჰყვა მძღოლების მხრიდან და პროცესი შეაჩერეს. ახლა აღმოაჩინეს, რომ სამარშრუტო ხაზებს ჰყავს პატრონი და ეს ხაზები იყიდება,




ხოლო მუნიციპალური ტრანსპორტი წაგებაზე მუშაობს", — აღნიშნა „რესპუბლიკელების" წევრმა ირაკლი ჩავლეიშვილმა.

ამასთან, როგორც ბათუმის ვიცე-მერი ჯემალ ანანიძე აცხადებს, მგზავრობის საფასური არ გაიზრდება. ბათუმის ფარგლებში მგზავრობის საფასური როგორც მიკროავტობუსით, ასევე ყვითელი ავტობუსით 40 თეთრია.

თუმცა, „ლეიბორისტების" აჭარის ორგანიზაციის ხელმძღვანელი დავით რობაქიძე აცხადებს, რომ კანონი მგზავრთა გადაყვანის შესახებ მიკროავტობუსის მძღოლს არ უწესებს ზღვარს, რა ფასში ატაროს მგზავრი.

## არსებული ინფორმაციით, ბათუმში „ჭაჭის კოშკი" შენდება

**ბათუმში** ახალი შადრევანი შენდება, რომლიდანაც კვირაში ერთხელ, 15 წუთის განმავლობაში ჭაჭის არაყი გადმოვა.

როგორც „ინტერპრესნიუსთან" საუბრისას „რესპუბლიკური პარტიის" ბათუმის ორგანიზაციის წარმომადგენელი ირაკლი ჩავლეიშვილი აცხადებს, „ჭაჭის კოშკის" აშენებისთვის მილიონ 70 ათასი ლარია გამოყოფილი.

„მსგავსი კოშკი დგას თურქეთის ქალაქ იზმირში და სულთან აბდულის გამეფების 25 წლისთავთან დაკავშირებით ააშენეს. ბათუმში თურქული სიმბოლო რატომ უნდა დადგან? ტურისტებისთვის შენდებაო, ამბობენ, მაგრამ ვინ გააკონტროლებს შადრევანთან მისული ადამიანი, სრულწლოვანი იქნება თუ არა", — აღნიშნა ირაკლი ჩავლეიშვილმა.

არსებული ინფორმაციით, ახალი შადრევანი გოგებაშვილის ქუჩაზე, საზღვაო ნავსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე აშენდება.

**ინტერპრესი**



**წარდგენილია საქართველოს სახელმწიფო პრემიაზე**

# დავით კლდიაშვილის კომედიის პერსონაჟები საოპერო სცენაზე

## გოგი ჩლაიძის ოპერა „დარისპანის გასაჭირი"

**გოგი ჩლაიძე** შესანიშნავი მუსიკალური ტრადიციების მქონე ოჯახის წარმომადგენელია. საკმარისია ითქვას, რომ იგი გამოჩენილი კომპოზიტორისა და საზოგადო მოღვაწის, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ეროვნული ჰიმნის — „დიდების" ავტორის კოტე ფოცხვერაშვილის შვილიშვილია.



მრავალმხრივ მუსიკოსს (კომპოზიტორსა და პიანისტს) გოგი ჩლაიძეს კარგად იცნობს ქართველი საზოგადოება, როგორც სხვადასხვა ჟანრის მუსიკალური ნაწარმოებების ავტორს.

ამჯერად საუბარი გვექნება კომპოზიტორის ოპერის — „დარისპანის გასაჭირის" შესახებ, რომელიც პირველად ჯერ კიდევ 1977 წელს მოვისმინეთ (ქუთაისის საოპერო თეატრში), მაგრამ ფაქტობრივად სავსებით განახლებული სახით წარმოგვიდგა რამდენიმე ხნის წინათ (ლიბრეტოს ავტორია ვარლამ ნიკოლაძე).

კერძოდ, ოპერას დაემატა ქალთა გუნდი, ახალი მუსიკალური მასალით გამდიდრდა დარისპანის ორი არია, ხოლო მიმიკური პერსონაჟი ოსიკო ამჯერად წარმოგვიდგა საკუთარი სასიმღერო პარტიით (ტენორი), საგრძნობლად ჩასწორდა და დაიხვეწა საორკესტრო პარტიტურა, რამაც მას მეტი ტემბრული გამომსახველობა შესძინა.

„დარისპანის გასაჭირი" კამერული ოპერაა სულ შვიდი პერსონაჟით. ამავე დროს, ვირტუოზულად დამუშავებულ ანსამბლებში ხმების ოსტატური შეხამებით მუსიკალური განვითარება ლამის სიმფონიურ ტემპსა და სუნთქვას იძენს.

ასევე არაერთგვაროვანია ოპერის ჟანრობრივი ბუნება. ცხადია, რომ, პირველ რიგში, იგი კომიკურ-გროტესკული ნაწარმოებია, მაგრამ, ამავე დროს, თითქმის თავიდან ბოლომდე ნაღვლიანი ღიმილის მომგვრელიცაა, რაც დაკავშირებულია პიესის ტრაგიკომიკურ პერიპეტიებთან და გმირთა თავსატეხ „პრობლემასთან".

პიესის მოქმედების ადგილის შესაბამისად, ოპერის მუსიკის მთავარი ინტონაციური „შემადგენელი" დასავლეთ საქართველოს, უპირატესად, ე.წ. „ქუთაისური ქალაქური ფოლკლორია", რომელსაც დიდი გემოვნებით და იუმორის უტყუარი გრძნობით მიმართავს კომპოზიტორი.

ოპერის მუსიკალური სტილი უმთავრესად რეჩიტატიულ რეპლიკებზეა აგებული, თუმცა საკმაო ადგილი ეთმობა მოქმედ პირთა „არიებსაც", რომელთაც აშკარად გამოხატული პაროდიული და გროტესკული ხასიათი აქვთ.

რაც მთავარია, ყოველივე ამასთან ერთად, კომპოზიტორი წარმოგვიდგენს მოქმედ პირთა მკვეთრად ინდივიდუალურ მუსიკალურ პორტრეტებს, რომელთა შორის, რა თქმა უნდა, უკონკურენტოა „შემოდგომის აზნაურის" — დარისპანის სახე — მსახიობ შალვა რამიშვილის ვირტუოზული შესრულებით.

ქებას ღირსია კომპოზიტორის საორკესტრო ოსტატობა, რაც კერძოდ, ვლინდება საკრავთა ინდივიდუალიზებული ტემბრების მხატვრულად გამიზნულ გამოყენებაშიც.

მოკლედ, ჩვენ წინაშეა ნამდვილად თანამედროვე, სისხლხორცეულად ქართული, მაღალი და მრავალფეროვანი მხატვრული ღირსებებით აღბეჭდილი ნაწარმოები.

ქებით მოვიხსენიოთ კომპოზიტორ გიორგი ჩლაიძის შესანიშნავი შემოქმედებითი თანამშრომლები: — რეჟისორი დავით საყვარელიძე და დირიჟორი ჯანლუკა მარჩიანო, რომლებმაც საკონცერტო შესრულების შეზღუდულ პირობებში დიდად შეუწყვეს ხელი ახალი ოპერის წარმატებას.

ერთი მეორეზე უკეთესები იყვნენ სპექტაკლში მონაწილე ნიჭიერი მომღერალ-მსახიობები: ზემოთ უკვე ნახსენები შალვა რამიშვილი (დარისპანი), ელენე ჯანჯალია (მართა), მზია დავითაშვილი (პელაგია), მამუკა ტეფნაძე (ონისიმე), ნინო ჩაჩუა (კაროჟნა), მანანა იორდანიშვილი (ნატალია), თამაზ საგინაძე (ოსიკო). კარგად ჟღერდა გუნდი (ქორმაისტერები ავთანდილ ჩხენკელი და შალვა შაორშაძე).

ეჭვი არ მეპარება, რომ საოპერო თეატრის შენობის მწყობრში ჩადგომის შემდეგ გ.ჩლაიძის „დარისპანის გასაჭირი" მის სცენას დაამშვენებს.

**გულბათ ტორაძე**



ფეხბურთი

# საქართველომ ინგლისი დაამარცხა




თბილისში 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდის მე-3 ჯგუფის მატჩი საქართველოს და ინგლისის ნაკრებებს შორის ჭაბუკმა „ჯვაროსნებმა“ ლუქსემბურგელი არბიტრის კრის რაიშის მიერ მატჩისთვის დამატებულ, ბოლო მე-4 წუთზე გიორგი პაპუნაშვილის მიერ გატანილი გოლით მოიგეს – 1:0. ესპანეთი-უკრაინა 2:2.

# საალყო მოტივები

**კაცობრიობის ისტორიას მრავლად ახსოვს ციხე-სიმაგრეებისა თუ დასახლებული პუნქტების ხანგრძლივი ალყის მაგალითები, რომლებმაც ზოგ მხედართმთავარს დიდება მოუტანა და საბრძოლო ხელოვნების დიდოსტატის შარავანდედით შემოსა, ზოგსაც ზიზღით იგონებს შთამომავლობა.**

რასაკვირველია, მცირე მასშტაბით ანალოგიური ფაქტები სხვადასხვა სფეროში, კერძოდ – სპორტში, დღესაც გვხვდება. საილუსტრაციოდ ჩემპიონთა ლიგის პირველი მერვედფინალური მატჩის დასახელებაც კმარა, რომელიც კვიპროსზე გაიმართა.




**„აპოელი“ – „რეალი“ 0:3 (0:0)**
**გოლები:** ბენზემა (2ძ, კაკა.

კუნძულელები 75 წუთის განმავლობაში გმირულად იცავდნენ თავს, მაგრამ მას შემდეგ, რაც ჟოზე მაურინიუმ მეტოქეს სიქა გააცალა და უთანასწორო ბრძოლაში დასვენებული რეზერვისტები ჩააბა, გატყდნენ და საპასუხო რაუნდი ფორმალობად იქცა.

მიუხედავად შედეგისა, ყველაზე პრესტიჟულ ევროტურნირში ასე მაღლა აფრენილი კვიპროსული არწივის თამაში მაინც აღტაცებას იწვევს.

ნეტავ, ჩვენ როდისღა გავიხარებთ თანამემამულეთა მსგავსი წარმატებით.

**„ბენფიკა“ – „ჩელსი“ 0:1**

ბედნიერ ფეხზეა გაჩენილიო, რობერტო დი მატეოზე იტყვიან.

შვეიცარიაში დაბადებული იტალიელის კარიერის ძირითადი პერიოდი, თუ რომის „ლაციოს“ არ ჩავთვლით, ფეხბურთის სამშობლოს უკავშირდება, ხოლო „ჩელსიში“ ლუზის ჩაშვების შემდეგ „არისტოკრატთა“ ამბიციური კლუბის სამწვრთნელო შტაბში გაამწესეს და არც შემცდარან.

შეგახსენებთ, რომ ლონდონელები პრემიერლიგის მოგებაზე ოცნებას სეზონის შუაგულშივე გამოეთხოვნენ, რასაც ახალგაზრდა პორტუგალიელი თავკაცი ვილაშ ბოიაში შეეწირა. როგორც ასეთ შემთხვევებში ხშირად ხდება ხოლმე, ფინიშამდე მიყვანა დროებით მის თანაშემწეს ანდეს, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, დი მატეოს სარფიან კონტრაქტს შესთავაზებენ.

ბუნებრივია, საამისოდ სათანადო საფუძველი უნდა არსებობდეს. ჰოდა, უკეთესს, ვიდრე ჩემპიონთა ლიგაში შთამბეჭდავი გამოსვლა, ვერც ინატრებს კაცი. ნახევარფინალისკენ სტუმრად მოპოვებული გამარჯვებით გადადგმული პირველი ღირსეული ნაბიჯი კი, დაგვეთანხმებით, სწორედ ასე უნდა შეფასდეს.

ნიჩბოსნობა

# მინგეჩაურში მცხეთის გავლით

**შარშან მინგეჩაურში აზერბაიჯანის პრეზიდენტის თასზე გამართულ ნიჩბოსანთა საერთაშორისო ტურნირში თბილისელმა ბადრი ყაველაშვილმა ერთადგილიანი ბაიდარათი 200 და 500 მეტრზე პირველი ადგილები დაიკავა.** აპრილის დასაწყისში იგი ისევ გამოვა მსგავს შეჯიბრებაზე. ეს უფლება ყაველაშვილმა საქართველოს საგაზაფხულო ჩემპიონატში მიღწეული წარმატებით მოიპოვა – ქართველმა ნიჩბოსანმა მცხეთასთან მდინარე მტკვარზე ორივე დისტანცია უკონკურენციოდ მოიგო. ბადრის მსგავსად, კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ ანი გვილავა (მცხეთაძ, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ეკატერინე შაბურიშვილი, გიორგი ელბაქიძე (ორივე – დუშეთიძ და ზაზა ჯიშკარიანი (ქუთაისიძ – **ერთადგილიანი ბაიდარათი. 200 და 500 მეტრზე ერთადგილიანი კანოეთი** სხვადასხვა ასაკში პირველები იყვნენ ფინიშთან მალხაზ ჭინჭარაშვილი, გიორგი შაბურიშვილი (ორივე – დუშეთიძ, ვარლამ ნადირაძე (მცხეთაძ და ნიკოლოზ კუცია (რუსთავიძ. **ორადგილიანი ბაიდარათი** ჩემპიონები გახდნენ: დუშელები: ნიკა ლაზიაშვილი – გიორგი გოგეჯიშვილი (ახალგაზრდებშიძ, ქუთაისელები: ემზარ კიკალიშვილი – ზაურ დევიძე (უფროსებშიძ. ორადგილიანი კანოეთი: დუშელები – მორის და მირზა უშიკაშვილები (ახალგაზრდებშიძ, გიორგი ჭინჭარაშვილი და გიორგი შაბურიშვილი (უფროსებშიძ.




აკადემიურ ნიჩბოსნობაში **ერთადგილიანი ნავებით** პირველობა არავის დაუთმეს მცხეთელებმა – არჩილ ბაიაშვილმა (ახალგაზრდებშიძ და ნიკა კანდელაკმა (უფროსებშიძ, **ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი ნავებით: 1000 მეტრზე** ქუთაისელებმა – დავით გიორგაძემ და გიორგი კათელაძემ (ახალგაზრდებშიძ, გიორგი ჩირაძემ და დავით ფხაკაძემ (უფროსებშიძ, **2000 მეტრზე** მცხეთელებმა გიორგი თოფურიამ და გიორგი მუხათგვერდელმა (ახალგაზრდებშიძ, გიორგი და ოთარ მოთიაშვილებმა (უფროსებშიძ.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ დუშელთა მთავარმა მწვრთნელმა შალვა მუსოევმა გულისტკივილით აღნიშნა, რომ ბაზალეთზე უწინდელი ნიჩბოსნობის სასპორტო სკოლის ბაზა, რომელიც ამჟამად ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზეა, დანგრევის პირასაა მისული. მალე იმ შენობაში, ალბათ, შესვლა შეუძლებელი იქნება და ნიჩბოსნობის კიდევ ერთი კერა დაიხურება. ეს რომ არ მოხდეს, დროული მიხედვაა საჭირო.

საგაზაფხულო ჩემპიონატის შედეგებით დაკომპლექტდა საქართველოს ნაკრები, რომელიც მინგეჩაურში აზერბაიჯანის პრეზიდენტის თასზე იასპარეზებს.

**გივი გაგუა**

მკლავჭიდი

# ნაკრების შემადგენლობა აპრილში გაირკვევა

**სხვადასხვა რეგიონის 200-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა 18-წლამდელთა საქართველოს პირველობაში, რომელსაც სპორტკომპლექსმა „არენამ“ უმასპინძლა.** ოთხ წონით კატეგორიაში მარცხენა და მარჯვენა მკლავებით, შესაბამისად, ოქროს მედლები ოლეგ ცისკაძემ და თორნიკე ქოროღლიშვილმა (ორივე – თბილისი, 60 კგძ, ვალერი მელაძემ (თბილისიძ და გიორგი აბელაშვილმა (ახმეტა, 70 კგძ, ელჩინ ბინატოვმა, გიორგი ბერიძემ (ორივე თბილისი, 80 კგ) და იოსებ მარუკაშვილმა (ახმეტა, +80 კგ, ორივე მკლავითძ მოიპოვეს. საპრიზო ადგილებზე გასულ მკლავჭიდელებს საწვრთნელი შეკრება და სპარინგები ჩაუტარდებათ. ამის შემდეგ დაკომპლექტდება საქართველოს ნაკრები, რომელიც 13-20 მაისს პოლონეთში ევროპის ჩემპიონატზე გამოვა. იმავე შეჯიბრებაზე იასპარეზებს ჩვენი ეროვნული გუნდიც. მის წევრებს კი 25 აპრილს საქართველოს ჩემპიონატი დაასახელებს.

**ლაშა დიდია**

ინტერნეტიდან

## ბექჰემი ავტოპარკს ყიდის

**სახელგანთქმულმა ინგლისელმა ფეხბურთელმა დევიდ ბექჰემმა, ახლა ამერიკული „ლოს-ანჟელეს-გელაქსის“ სახელს რომ იცავს, გადაწყვიტა თავისი ავტოპარკის ნაწილის გაყიდვა, მათ შორის – ორი Bentley, BMW. 445 და სხვ.** ამ მანქანების ნომინალური ღირებულება 500 ათასი ევროა, მაგრამ, ალბათ, უფრო ძვირადაც გაიყიდება, მანქანები მას ინგლისში აქვს დატოვებული. თავად კი ცოლთან და ოთხ შვილთან აშშ-ში ცხოვრობს. მანქანების გაყიდვით კი ბექჰემი კარგ მოგებას ნახავს.

## რასისტული გამოხდომისთვის



**ალბათ, გახსოვთ, 17 მარტს პირდაპირ ფეხბურთის მინდორზე გული გაუჩერდა „ბოლტონის“ კონგოელ ფეხბურთელ ფაბრის მუამბეს. მას თავის მიკრობლოგში შეურაცხყოფა მიაყენა, როგორც შემდეგ გაირკვა უელსის სუონსის უნივერსიტეტის სტუდენტმა-ბიოლოგმა, 21 წლის ლაიმან სტეისიმ, რამაც გულშემატკივრების აღშფოთება გამოიწვია. ის მალე ქალაქ ლონტიპრიდში პოლიციამ დააკავა. მას სასამართლომ 56-დღიანი ციხე მიუსაჯა.**

მართალია, სტეისი თავიდან უარყოფდა თავის ასეთ საქციელს, მაგრამ სასამართლოზე აღიარა თავისი დანაშაული. მან განაცხადა, რომ მთვრალი იყო. „მე ბარში ვიყავი, როდესაც გავიგე მომხდარზე, ისე რომ არ ვიცი, რატომ დავწერე“. LoL... ეს.. მუამბა... ის მკვდარია! ხა-ხა-ხა! შემდეგ კი მოსდევდა ფეხბურთელის, მისი რასისა და სქესის გინება.

როგორც სუონსის უნივერსიტეტი აცხადებს, განიხილავენ სადისციპლინო ზომების ვარიანტებს, თვით სტუდენტის გარიცხვამდე.

## ქვეყანას გული გადაუშალა

**ბულგარეთის ნაკრებისა და „ტვენტეს“ მეკარის ყოფილი დობილის ბორისა ტიუტიუნჯევას განცხადებით, გაზაფხულის შემოსვლამ მას ფეხსაცმლის ახალი კოლექციის შექმნისკენ უბიძგა, რომელიც მზად მალე იქნება.**

„კმაყოფილი ვარ მიღწეულით, – უთქვამს ლამაზმანს, – ბევრი ჩემი პროექტი წარმატებით ხორციელდება, დარწმუნებული ვარ, კიდევ უფრო განვითარდება. მე ხომ გული მსოფლიოს გადავუშალე, მალე ახალი მამაკაციც გამოჩნდება“.

ახლახან ბულგარელმა ლამაზმანმა მონაწილეობა მიიღო ქალის თეთრეულის მწარმოებელთათვის გათვალისწინებულ ფოტოსესიაში.



კალათბურთი

# პირველი მერცხალი




**ევროლიგის ოთხთა ფინალის პირველი მონაწილე „ბარსელონა“ გახდა, რომელმაც ყაზანში „უნიქსს“ 67:56 სძლია და პლეიოფის სერია 3:0 მოიგო.**

კატალონიაში განცდილი ორი მარცხის შემდეგ თათრული კლუბის სნაიპერმა დომერკანტმა რეაბილიტაცია სცადა და პარტნიორებს 19 ქულა შეაწია, რამაც ფავორიტს მდევრის როლი არგუნა, მაგრამ საკმარისი იყო მათი ლიდერი ნავარო გამოცოცხლებულიყო (21 ქულაძ, რომ ყველაფერი თავის ადგილზე დადგა.

ყოფნა-არყოფნის ზღვარზეა მოქმედი გვირგვინოსანი „პანათინაიკოსი“, რომელიც „მაქაბისთან“ თელ-ავივში 62:65 დამარცხდა და მეტი წაფორხილების უფლება აღარ აქვს.

მასპინძელთა წარმატებაში გადამწყვეტი წვლილი ჰენდრიქსმა, ოჰაიენმა და ელიაჰუმ შეიტანეს, ელადელთაგან კი უჩვეულოდ სუსტად ითამაშა დიამანტიდისმა.

დღეს მეოთხე ბრძოლა ისევ ისრაელის დედაქალაქის „ნოკია ცენტრში“ გაიმართება.

ძიუდო

# აზია მოილიეს და ევროპას მიაშურებენ

**აპრილის მიწურულს ჩელიაბინსკი ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებისთვის მონდომებით ემზადება საქართველოს ნაკრები.** ავსტრიელ მთავარ მწვრთნელ პეტერ ზაიზენბახერს ბიჭები ჯერ „ამომავალი მზის ქვეყანაში“ ჰყავდა შეკრებაზე, შემდეგ სეულში ავარჯიშა ბეთქილ შუკვანი, ამირან პაპინაშვილი (ორივე – 60 კგძ, შალვა ქარდავა, ლაშა შავდათუაშვილი (66კ, ნუგზარ ტატალაშვილი, ზებედა რეხვიაშვილი (73კ, ავთანდილ ჭრიკიშვილი, ბექა ღვინიაშვილი, ლევან წიკლაური (81კ,



ვალერი ლიპარტელიანი, ზურაბ ზვიადაური (90კ, ლომერ ქორქოლიანი, ნოდარ მეტრეველი (100კ, ადამ ოქრუაშვილი, ზვიად ხანჯალიაშვილი და ლევან მატიაშვილი (+100კ. მომავალ შაბათს გუნდი ბერლინს გაემგზავრება გერმანელებთან ერთობლივ საწვრთნელ შეკრებაზე, იქიდან ქართველი ფალავნები მონღოლეთს მიაშურებენ. ერთი კვირის შემდეგ თბილისს დაუბრუნდებიან და მშობლიურ კერაზე განაგრძობენ ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას.

რაც შეეხება ახალგაზრდა ძიუდოისტთა ნაკრებს, გიორგი თენაძისა და გიორგი რევაზიშვილის ხელმძღვანელობით ჩვენებურები კიევში ევროპის თასზე გაემგზავრებიან. უკრაინის დედაქალაქში საქართველოს სპორტულ ღირსებას დაიცავენ ირაკლი კუპატაძე (50კ, გიორგი კაციაშვილი, ბექა ნათათრალიშვილი, ერეკლე არხოზაშვილი, ირაკლი ლიპარტელიანი (55კ, კობა მჭედლიშვილი, ბექა სეხნიაშვილი, დიმიტრი ცაბაძე, ბექა უდესიანი (60კ, ზაზა მეგრელიშვილი (66კ, თამაზ კირაკოზაშვილი, ვანო ჩურჩხელაშვილი (73კ, გიორგი ქურდიანი, ნიკა მოველიძე (81კ, დავით რამაზაშვილი, გიორგი გველესიანი (90კ, გიორგი ძებისაშვილი, ზაზა გოჯიაშვილი (+90კ, გოგონებში მარიამ ჯანაშვილი და გურანდა შოთაძე (ორივე – 57 კგძ იჭიდავებენ.

**ლექსო ცინცაძე**

როცა საქმე ფულის შოვნაა...

# რეკლამა... ფეხის აწევით

**დიდი ხანია, რაც სპორტსმენები საკუთარ სხეულს წარმატებით „ყიდიან“. სპორტის ვარსკვლავის ტელეეკრანზე ნებისმიერი გამოჩენა სპორტული შოუს ტრანსლაციის დროს – პოტენციური სარეკლამო რგოლია. შესაბამისად, ყველაზე ძვირი ღირს რეკლამის სპორტსმენების სხეულის იმ ნაწილზე განთავსება, რომელიც კადრში ყველაზე ხშირად ჩნდება.**

მაგალითად, კრივსა და წესების გარეშე ბრძოლებში ყველაზე ძვირი... სპორტსმენის „ზურგს ქვევითა“ ნაწილი ღირს.

– მე ყველაზე ძვირს ვყიდი, რაც ჩემს სპორტსმენს აქვს – ეს ჩემი მებრძოლის უკანალია. ვიდრე ის მოწინააღმდეგეს „საკეპში“ გაატარებს, ტელევიზია მთელ მსოფლიოს მის ტრუსებზე განთავსებულ რეკლამას აჩვენებს, – ასე იწყებდა ჩვეულებრივ მოლაპარაკებებს შერეული ორთაბრძოლათა ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი სპორტსმენის მენეჯერი.

ვაჭრობისას მებრძოლის ტრუსები, სარეკლამო „დანაწევრებით“ ძროხის ხორცის დაჭრის სქემას ემსგავსება. ცნობილი მებრძოლის ტრუსებზე ერთი ციდა რეკლამის ფასი შეიძლება 30-50 ათას დოლარამდე ავარდეს! ასე რომ, ტრუსები სახუმარო რამ სულაც არ არის! მაგალითად, შარშან მექსიკაში ერთ-ერთი შტატის გუბერნატორის არჩევნების შედეგები გააუქმეს: აღმოჩნდა, რომ არჩევნებამდე, ეგრეთ წოდებულ „სიჩუმის დღეს“, ლას-ვეგასში მანუელ მარკესის საჩემპიონო ბრძოლა შედგა, რომელსაც მთელმა მექსიკამ უყურა. ამ დროს სპორტსმენის ტრუსებზე კი მმართველი ინსტიტუციური პარტიის ემბლემა იყო გამოსახული, რომელსაც კანდიდატი წარმოადგენდა. ოპოზიციამ არჩევნების შედეგები სასამართლოში გაასაჩივრა და სასამართლო პროცესიც მოიგო.

მოკრივეებისგან განსხვავებით, ბიატლონისტებში ყველაზე მეტად თავი, ხელთათმანები და თოფის კონდახი ფასობს, რადგან სწორედ მათ ხედავენ ტელემაყურებლები, როცა სპორტსმენები მიზანში ისვრიან. ყველაზე: მეტი ფული სპორტის ამ სახეობაში გერმანელმა ქერათმიანმა ქალიშვილმა მაგდალენა ნიონერმა „გამოიმუშავა“, – სადებიუტო 2007




**მაგდალენა ნიონერის რეკლამები 1,2 მილიონი დოლარი ღირს.**

წელს, რომლის შედეგების მიხედვით ლამაზმანი მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი გახდა, თავისი კონტრაქტი მას ერთბაშად... ოთხმოცმა(!) ფირმამ შესთავაზა! ჯამში ანგარიშიანი გერმანელი ქალიშვილი მარტო რეკლამისგან წელიწადში 1,2 მილიონ დოლარ შემოსავალს იღებს.

მოკრივეებთან და ბიატლონისტებთან კონკურენცია ნამდვილად უჭირთ სამთო მოთხილამურეებს, რადგან ისინი ტრასაზე იმდენად სწრაფად ეშვებიან, რომ რაიმეს გარჩევა ჭირს. სწორედ ამიტომ იყო, რომ შვეიცარიელმა მსოფლიო ჩემპიონმა დიდიე კუშმა გამოსავლის ძებნა დაიწყო და ორიგინალურ ხერხსაც მიაგნო: მან საფირმო ჟესტი მოიგონა – ფინიშთან მიახლოებისას სპორტსმენი ფეხს სწევდა, რათა კადრში... თხილამურების მწარმოებელი ფირმის დასახელება გამოჩენილიყო!

**ირმა ირემაშვილი**

საინვესტიციო სივრცე

# ბიზნესგარემოს „მზიანი“ და „ჩრდილიანი“ მხარეები

**ბოლო ორი წლის მანძილზე ბიზნესგარემო საქართველოში, ფაქტობრივად არ შეცვლილა, თუმცა მთავრობამ საერთაშორისო ბაზარზე ქვეყანაში არსებული ვითარების პოტენციურ ინვესტორთათვის გასაცნობად ძალისხმევას უმატა, – ასეთია საკითხთან დაკავშირებით ექსპერტთა აზრი.**

ხაზს უსვამენ იმ გარემოებასაც, რომ გლობალური ეკონომიკური კრიზისის პირობებში საქართველოში ინვესტიციები საკმარისად შემოედინება: შარშან მათი ოდენობის მატება უმნიშვნელო, მაგრამ მაინც იყო. ამასთან დასძენენ, რომ სამამულო ეკონომიკაში კაპიტალის მოზიდვას გაცილებით მეტი პოტენციალი აქვს, რასაც ჯეროვანი გამოყენება სჭირდება.

**შარშან საქართველოში ეკონომიკაში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 1367 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 20 პროცენტით მეტია.**

აღსანიშნავია, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ოდენობით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, ბოლო სამი წლის მანძილზე, შარშან მეოთხე კვარტალში იყო, სადაც, თავის მხრივ, ყველაზე მეტი სახსრები დაბანდებულ იქნა **ენერგეტიკაში** (79,1 მილიონი დოლარიძ, ასევე **ტრანსპორტსა და კავშირგაბულობაში** (56,6 მილიონი დოლარიძ და **საფინანსო სექტორში** (53,9 მილიონი დოლარიძ.

სადღეისოდ არსებული მონაცემებით, 2011 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციების ოდენობით ყველაზე მეტი კაპიტალი (213,4 მილიონი დოლარიძ **ნიდერლანდმა** დააბანდა. ამ მხრივ მეორე პოზიციაზეა **დანია** (99,9 მილიონი დოლარიძ, მესამეზე – **საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები** (94,5 მილიონი დოლარიძ. ქვეყანაში განხორციელებულ კაპიტალდაბანდებათა ოდენობით უმსხვილეს ინვესტორთა პირველ ათეულში ასევე არიან **კვიპროსი** (94,2 მილიონი დოლარიძ, **თურქეთი** (77,4 მილიონი დოლარიძ, **რუსეთი** (52,3 მილიონი დოლარიძ, **აზერბაიჯანი** (44,8 მილიონი დოლარიძ, **ლუქსემბურგი** (41,9 მილიონი დოლარიძ, **ვირჯინიის კუნძულები** (40,8 მილიონი დოლარიძ და **დიდი ბრიტანეთი** (37,2 მილიონი დოლარიძ. **(აქვე საგანგებოდ აღვნიშნავთ, რომ ეს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი მონაცემებია, თუმცა კი ისინი, არსებითად, დიდად განსხვავებული არ იქნება საბოლოო, დაზუსტებული მონაცემებისგან, რომლებსაც საქსტატი აგვისტოს შუა რიცხვებში გამოაქვეყნებს. – რედ).**

ექსპერტები კიდევ ერთხელ აღნიშნავენ, რომ საინვესტიციო გარემოს გაცნობისას პოტენციური ინვესტორები ყურადღებას აქცევენ იმას, თუ რამდენად ხელსაყრელია ტექნიკურად საქმიანობის



გაშლის გარემო. ამ მხრივ საქართველოში ნამდვილად ერთ-ერთი გამორჩეულად კარგი პირობებია შექმნილი, რაც კორუფციის დაბალი დონით და ლიცენზიების მისაღებად ბარიერების მინიმალური ოდენობით გამოიხატება. ამასთან, ხაზს უსვამენ იმასაც, რომ დადებითი მხარეების მიუხედავად, არის ისეთი ხარვეზებიც, რომლებსაც სხვა მიმართულებით მოპოვებული უპირატესობა თითქმის მინიმუმამდე დაჰყავს. მათ შორის უპირველესია **უკიდურესად მონოპოლიზებული შიდა ბაზრები,** სადაც კერძო ინვესტორისთვის სახელმწიფო გარანტიის გარეშე შემოსვლა საკმაოდ სარისკო საქმეა. არანაკლებ ნეგატიურად მოქმედებს ქვეყანაში ინვესტიციების ნაკადის სიმძლავრეზე **საკუთრების უფლების დარღვევის** მრავალრიცხოვანი შემთხვევები, რაც ასევე დიდად აფრთხობს ინვესტორებს. ხელისშემშლელ გარემოებათა ჩამონათვალში ასევე აუცილებლად უნდა დასახელდეს **სათანადო კვალიფიკაციის მქონე მუშახელის დეფიციტი და ენერგომატარებელთა სიძვირე,** რაც ჩვენში წარმოებულ პროდუქციას წინასწარვე არაკონკურენტიანად ხდის. გარდა ამისა, ანგარიშიდან არც **სათანადო კანონმდებლობის ხშირი ცვლაა** გამოსარიცხი.

შარშან საქართველოში სხვა დარგებზე მეტი უცხოური ინვესტიცია **დამმუშავებელ მრეწველობაში, საფინანსო სექტორსა და ენერგეტიკაში** განხორციელდა. მოცულობათა კლების ნიშნით ამ დარგებს მოჰყვებიან **ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, უძრავი ქონება, სამთომოპოვებითი მრეწველობა, მშენებლობა, ჯანდაცვა და სოციალური დაცვა, სასტუმროები და რესტორნები, ასევე სოფლის მეურნეობა და თევზის რეწვა.**

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დაბანდებათა ოდენობით დარგებს შორის პირველ პოზიციაზე დამმუშავებელი მრეწველობის გასვლა ერთობ სასიხარულო მოულოდნელობაა, რადგან მანამდე ეკონომიკის ჩვენთვის ეს უმნიშვნელოვანესი სფერო ერთგვარად „ჩრდილში“ და ლამის „სიკვდილის პირას“ იყო მისული. ამდენად მის აღორძინებას ეროვნული ეკონომიკისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ტრადიციულად დიდი ოდენობით უცხოური კაპიტალი „ბინავდება“ ეროვნულ ენერგეტიკაში, რაც ქვეყანაში მრავალი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას უკავშირდება, რომელთაგან რვა პროექტი შარშან ხორციელდებოდა, წლეულს კი მათ რიცხვს კიდევ 12 დაემატა, ხოლო პირველი მშენებარე ჰესი მწყობრში გაისად, წლის ბოლოს ჩადგება. **ახალი ჰესების მშენებლობის პროექტის მთლიანად დასრულება კი, რომლებიც თურქული, ავსტრიული, ჩეხური, ნორვეგიული და ა. შ. ინვესტიციებით ხორციელდება, 2017 წლის მიწურულისთვისაა დაგეგმილი.**

რაც შეეხება პირდაპირ უცხოურ ინვესტიციათა ნაკადთან დაკავშირებულ წლევანდელ მოლოდინს, საქართველოს მთავრობაში ვარაუდობენ, რომ საქართველოს სამხრეთ კავკასიაში რეგიონის ცენტრად ჩამოყალიბებამ, მაკროეკონომიკურმა სტაბილურობამ, კორუფციის დაბალმა დონემ და ღია ეკონომიკამ პოტენციურ ინვესტორთათვის ერთგვარად „ფინანსური ნექტარის“ შემცველის როლი უნდა შეასრულოს.

**ოთარ ტურაბელიძე**

ინფორმაცია

### სოფელ დიღმის მოსახლეობა სკოლის შენობაზე მობილური ოპერატორის გადამცემი ანძის დადგმას აპროტესტებს

**სოფლის მცხოვრებლების განცხადებით, ანძის სკოლის სახურავზე დადგმა სერიოზულ საფრთხეს უქმნის ბავშვების და იმ ადამიანების ჯანმრთელობას, რომლებიც სკოლის მახლობლად მდებარე სახლებში ცხოვრობენ.**

**მათივე თქმით, ანძის დადგმა მოსახლეობისგან ფარულად მოხდა და მათ ზუსტად ისიც არ იციან, რომელ მობილურ ოპერატორს ეკუთვნის ანძა.**

**მოსახლეობის მოთხოვნას გუშინ, ჯონდი ბაღათურიაც შეუერთდა. პოლიტიკური გაერთიანება „ქართული დასის„ ლიდერის განცხადებით, სკოლის სახურავზე ანძის უკანონოდ დადგმაში მთავარი დამნაშავე განათლების სამინისტროა, რომელიც ბავშვების ჯანმრთელობას პირდაპირ საფრთხეს უქმნის.**

**გუშინვე ჯონდი ბაღათურია ანძის დადგმასთან დაკავშირებით განმარტებების მოსმენას სკოლის დირექტორისგან შეეცადა, თუმცა დირექტორმა კითხვებზე პასუხების გაცემაზე უარი განაცხადა.**

ინტერპრესნიუსი

**ცოქალა ქაჯაია, თამაზ ბერულავა ოჯახით, ღრმა მწუხარებით იუწყებიან დეიდაშვილის, თვალსაჩინო ქართველი ექიმის და მეცნიერის, ღირსეული მამულიშვილის**

**ერემო ვლადიმერის ძე დანელიას**

**გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის მეუღლეს, შვილებს, ძმებს და ახლო ნათესავებს.**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77;
599 32-85-76.
გ. ახვლედიანის ქ. №19.

## ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



**ჯორჯ ბალანჩინი ქართველ ხელოვნების მუშაკებთან**

1962 წელს საქართველოს ესტუმრა ქართული წარმოშობის დიდი ამერიკელი ბალერონი ჯორჯ ბალანჩინი. ეს ფოტო ქართველ ხელოვნების მუშაკებთან მის შეხვედრას ასახავს.

პირველ რიგში, სხედან: ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორი, საქართველოს სახალხო არტისტი **დიმიტრი მჭედლიძე**, **ჯორჯ ბალანჩინი**, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, მომღერალი **პეტრე ამირანაშვილი**; მეორე რიგში, დგანან: მომღერალი **შოთა ქუთათელაძე**, ჯ. ბალანჩინის ძმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, კომპოზიტორი **ანდრია ბალანჩივაძე**, საქართველოს ფილარმონიის დირექტორი, საქართველოს სახალხო არტისტი **გუგული ყიფიანი**, კომპოზიტორი **ირაკლი გეჯაძე**, საქართველოს სახალხო არტისტი, კომპოზიტორი **დავით თორაძე**.

**სერგო ონანოვის ფოტო.**
**გურამ გოგიაშვილის არქივიდან**

## დაიჯესტი

### „მეხსიერების საბურავით მან სიკვდილი შეიფარა...“

**არქიტექტურული სასწაული — ტაჯ-მაჰალის სასახლე მე-17 საუკუნეში დიდი მონღოლების დინასტიის სულთანის შაჰ-ჯაჰანის ბრძანებით, მისი გარდაცვლილი უსაყვარლესი მეუღლის მუმთაზ-მაჰალის ხსოვნის უკვდავსაყოფად ააგეს. შაჰ-ჯაჰანმა მუმთაზ-მაჰალი 1612 წელს შეირთო და მას შემდეგ გვერდიდან არ მოუცილებია მანამდე, ვიდრე 1631 წელს ქალი მშობიარობას არ გადაყვა.**

მავზოლეუმის პირვანდელი ჩანაფიქრი უდავოდ შაჰ-ჯაჰანს ეკუთვნის, მაგრამ, გადმოცემით, საბოლოო გეგმა რამდენიმე არქიტექტორმა დაამუშავა. მათ შორის მთავარი, როგორც ჩანს, უსთად ისა, მათემატიკოსი და ასტროლოგი იყო, რომელმაც სრულყოფილი სიმეტრიის დიდ ნაგებობათა პროექტირებით გაითქვა სახელი.

მავზოლეუმის მშენებლობა 1632 წელს დაიწყო და 20 წელს გაგრძელდა. ამ დიადი პროექტის განხორციელებაში ინდოეთისა და ცენტრალური აზიის რამდენიმე ათასი ქვისმთლელი, მარმარილოს მჭრელი, ინკრუსტატორი, იუველირი და კალიგრაფი მონაწილეობდა. ტაძრისთვის ადგილი ქალაქ აგრის მახლობლად, მდინარე ჯამნას სამხრეთ ნაპირზე შეარჩიეს, რომლის კალაპოტი ისე შეცვალეს, რომ მის წყალში დიდებული ტაჯ-მაჰალი როგორც სარკეში არეკლილიყო.



თეთრი, გაპრიალებული მარმარილოს საოცარი მავზოლეუმი, 17 ჰექტარზე სიმეტრიულად გაშენებული ბაღებით, აგერ უკვე მეოთხე საუკუნეა მწერლებისა და პოეტების შთაგონების წყაროა. მას დღესდღეობითაც უამრავი მომლოცველი ჰყავს. დიდმა ინდოელმა პოეტმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა რაბინდრანატ თაგორმა ტაჯ-მაჰალზე თქვა: „მეხსიერების საბურავით მან სიკვდილი შეიფარა“.

### რეკორდული ლარნაკი



**რამდენიმე წლის წინათ „სოთბის“ აუქციონზე მინგის სტილის ჩინური ფაიფურის ლარნაკი 750 ათას დოლარად გაიყიდა.**

ახლახან, როცა ფილადელფიაში გამართულ აუქციონზე, სადაც პოტენციურ მყიდველებს იმავე ხანის ულამაზესი ანალოგიური ლარნაკი შესთავაზეს, დარბაზში ტევა არ იყო, ხალხი ფეხზე იდგა და, შესაბამისად, ვაჭრობაც ცხარე იყო. აზიური ხელოვნების ნიმუშთა აუქციონის მთავარი ლოტი სწორედ ეს ანტიკვარული ლარნაკი გახლდათ. საბოლოო ანგარიშით, იგი მილიონ 380 ათას დოლარად უცნობმა კოლექციონერმა შეიძინა, რაც ხელოვნების მსგავს ნიმუშთათვის რეკორდულია.

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### ჟურნალ-გაზეთებიდან



**„დასაქმების პროგრამაში მხოლოდ „ლოიალურ“ სტუდენტებს მიიღებენ“**

— ამბობს ჯონდი ბაღათურია, — შერჩეულ სტუდენტებს რეკომენდაცია ადგილობრივმა თვითმმართველობებმა გაუწიეს. ქვეყანაში 102000 სტუდენტია, რომელთაგან მხოლოდ 25000 დასაქმდება. დანარჩენმა 77000 რა დააშავა?! ცუდი საქციელია, როცა ამ სტუდენტებს მართლა უჭირს, მაგრამ მის ნაცვლად რეკომენდაციას მის მეგობარს უწევენ, რომელიც ხელისუფლებისადმი ლოიალურად არის განწყობილი, — აცხადებს ბაღათურია.

**„რეზონანსი“.**

**დავით კეზერაშვილის 300-მილიონიანი მოგება და ქართველი „მებენზინეების“ ფინანსური მაქინაციები**

ნავთობპროდუქტების ქართული ბაზარი მსოფლიო ტენდენციებიდან აშკარად ამოვარდნილია — იმპორტის გაფართოება საცალო ბაზარზე პროდუქციის გაიაფებას არ განსაზღვრავს. საქართველოს მოსახლეობა თვეში, დაახლოებით 60 მილიონ ლიტრ საწვავს მოიხმარს, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველთვიურად, დაახლოებით 30 მილიონი ლარით გვძარცავენ. „თავისუფალი დემოკრატები“ მიიჩნევენ, რომ მონოპოლიურ საქმიანობასა და კონკურენციის შეზღუდვაში, პირველ რიგში მიხეილ სააკაშვილია დამნაშავე, რადგან მან შექმნა სისტემა, რომელიც 100-ზე მეტი იმპორტიორი გააძევა ბაზრიდან და ყველაფერი დავით კეზერაშვილს ჩაუგდო ხელში.

**„ქართული სიტყვა“.**

**„ნინია კაკაბაძე სააკაშვილის ინაურია“**

— ამბობს ადამიანის უფლებათა დამცველი ნანა კაკაბაძე, — ამ ადამიანმა არა მარტო ლიბერალიზმისა და ფაშიზმის მნიშვნელობა არ იცის, დამრჩა შთაბეჭდილება, რომ მან ისიც არ იცის, რომ ლენინი მოკვდა. შეიძლება, მის გულში ლენინი კვლავაც ცოცხალია. საბჭოთა პერიოდის მერე არავის, ვანო მერაბიშვილსაც კი, არ უკადრებია ეთქვა, რომ განსხვავებული აზრის გამო ბოდიში მოიხადეთო.

**„საქართველო და მსოფლიო“.**

**„სად არიან ჩვენი „ერის მამები“, სანამ მაგათ დედებს არ მოვიკითხავ როგორც საჭიროა, ისე, ამოიღონ ხმა!“**

— აღშფოთებულია პოეტი რეზო ამაშუკელი, — ვერ ნახავთ თოქ-შოუს, სადაც უმრავლესობა პედერასტი, ლესბოსელი, ნაბოზარი ან პროფესიონალი ელიტარული პროსტიტუტკა არ იჯდეს... ახლა არჩევნები ახლოვდება და იციან, ახალგაზრდობა ისევ თავიანთი წამლებით გარყვნილი გამოიყენონ ხმებად. ხაზგასმით ვამბობ, ეს იყო სახელმწიფო პოლიტიკა. მე ხმამაღლა ვაცხადებ, ეს იყო ნაციონალების სახელმწიფო პოლიტიკა. თვითონ გარყვნეს, მერე თვითონ უდებდნენ ჯიბეში, ფულსაც შოულობდნენ ამითი და მონებადაც აქციეს!..

...მიმიფურთხებია იმ ქვეყნისთვის, რომელიც ამას მოითმენს! მიმიფურთხებია იმ ინტელიგენციისთვის, რომელიც ამაზე გაჩუმდება! მიმიფურთხებია იმ ვითომ მწერლებისთვის, რაღაცებს რომ ბლანდავენ და ჯღაბნიან დღეს და ხმას არ იღებენ!

**„საერთო გაზეთი“**

**განცხადება**

სასწრაფოდ იყიდება ამაღლების ქ. №16-ში (ყოფილი დავითაშვილი) 80კვ.მ. კომერციული ფართი, გარემონტებული, სველი წერტილით, საკუთარი სათავსოთი (იყო მოქმედი მაღაზია).

ფასი შეთანხმებით.

ტ. 593 537-988, 551 480-096.

## კადრი



## ანეკდოტები

— ექიმო, რა უნდა ვქნა იმისთვის, რომ დიდხანს ვიცოცხლო?

— მიატოვეთ სმა, მოწევა, კარტის თამაში, ქალებთან სიარული...

— და დიდხანს ვიცხოვრებ?

— არა, მაგრამ ამის შეგრძნება გაგიჩნდებათ.

* * *

— როგორ გრძნობ თავს გათხოვების შემდეგ?

— არა მიშავს რა. თუმცა, ვფიქრობ, ჩემი ქმარი უფრო იღბლიანად დაქორწინდა, ვიდრე მე გავთხოვდი.



* * *

— ძვირფასო, გიყვარვარ? — ეკითხება გოგო შეყვარებულს.

— კი. შენ?

— მეც მიყვარს ჩემი თავი.

* * *

— მამი, მამი, მიყიდე რა დოლი!

— კარგი რა, დაძინების საშუალებას არ მომცემ მაგის ბრახუნით!

— არა, მამი, როცა დაიძინებ, მერე დავუკრავ!

* * *

სხვისთვის ცოლის წართმევა ძნელი არ არის, ბევრად უფრო რთულია მისი უკან დაბრუნება.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24